



# ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის სახელმძღვანელო ინსტრუქციები მუნიციპალური ტყის მართვისთვის

საქართველოში ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების  
მხარდაჭერა - **ECO.Georgia**

საბოლოო ანგარიში  
მომზადებულია საკონსულტაციო  
კომპანია PMO Consulting-ის მიერ  
28 მაისი, 2024



## მომზადებულია

სახელმძღვანელო მომზადებულია “PMO Consulting“-ის მიერ, **Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH**-ის მხარდაჭერით, პროექტის „საქართველოში ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების მხარდაჭერა – ECO.Georgia“ ფარგლებში

## მისამართი

### PMO Consulting

33-ე ი. ჭავჭავაძის გამზირი  
0179 თბილისი,  
საქართველო

მაისი, 2024

## ავტორები: ლია გოდერძიშვილი

ნინო ბადაშვილი

ივანე ბენუკლიშვილი

## შენიშვნა

პუბლიკაცია მომზადდა PMO Consulting-ის მიერ, ECO.Georgia პროექტის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) GmbH გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) სახელით.

ამ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია და შეხედულებები ეკუთვნის ავტორებს და არ ასახავს GIZ-ის და/ან BMZ-ის ოფიციალურ მოსაზრებას.

## მოკლე შეჯამება

წარმოდგენილი სახელმძღვანელო არის პროექტ ECO.Georgia-ს კომპონენტი 3-ის ნაწილი, რომელიც ემსახურება ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოქალაქეების შესაძლებლობების განვითარებას მონაწილეობა მიიღონ ტყის მდგრად მართვაში. ECO.Georgia თანადაფინანსებულია მწვანე კლიმატის ფონდის (GCF), გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის, შვეიცარიის კონფედერაციის მთავრობისა და საქართველოს მთავრობის მიერ, რათა მოხდეს სატყეო სექტორის რეფორმის განხორციელება. პროექტი მიზნად ისახავს ტყის დეგრადაციის ემისიების შემცირებას ტყეების მდგრადი მართვის გზით, ასევე ენერგოეფექტურობისა და ალტერნატიული საწვავის ხელშეწყობის მიზნით, რათა შემცირდეს საწვავის შეშის მოხმარება, როგორც ტყის დეგრადაციის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორის.

სწორედ კომპონენტი 3-ის ქვეშ, ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის ინსტრუქციების განვითარება ემსახურება ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებას MFM-ში ჩართვის შესახებ მუნიციპალიტეტის პერსპექტივიდან. მუნიციპალური ხელისუფლება და მათი თანამშრომლები აღიჭურვებიან ცოდნით, რომელიც ხელს უწყობს არგუმენტირებული და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებას, სტანდარტული საოპერაციო პროცედურების პროცესს ტყეების დაგეგმვისა და მართვისთვის, ასევე გაზრდილ შესაძლებლობებს საზოგადოების მონაწილეობისათვის. ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის ინსტრუქციები იქნება გადაწყვეტილების მიღების ინსტრუმენტი მუნიციპალური დონის დაინტერესებული მხარეებისთვის, რათა განსაჯონ, არის თუ არა მათთვის გონივრული და მიმზიდველი მუნიციპალიტეტისათვის ტყის მართვის უფლებებისა და ვალდებულებების აღება. სახელმძღვანელო უზრუნველყოფს ყოვლისმომცველი ჩარჩოს ჩამოყალიბებას მუნიციპალურ დონეზე ტყის მართვის ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედების შესაფასებლად.

მუნიციპალური ტყის მართვისთვის ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის წარმოდგენილი სახელმძღვანელო ემსახურება ყოვლისმომცველი ინსტრუქციების განვითარებას რვა სამიზნე მუნიციპალიტეტისათვის - ოზურგეთის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, თიანეთის, ახმეტის, თელავის, ყვარლისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტების - ადგილობრივი/მუნიციპალური ტყის მენეჯმენტში ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის ჩასატარებლად. წინამდებარე სახელმძღვანელო განიხილავს ანალიზის ჩატარების ყველა საფეხურს, ხარჯებისა და სარგებლის კატეგორიზაციებს, მათი გამოთვლის გზებს ლოკალური კონტექსტისა და სამართლებრივი ბაზის გათვალისწინებით. ანგარიში ასევე განიხილავს არამონეტირებადი ხარჯებისა და სარგებლის შეფასებას მრავალკრიტერიუმიანი ანალიზის (MCA) ინსტრუმენტის დახმარებით. ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული სახელმძღვანელო წარმოადგენს მხოლოდ ინსტრუქციების ნაკრებს და არ მოიცავს მუნიციპალიტეტების მიხედვით გამოთვლების ჩატარებას. აღნიშნული გამოთვლები ლოკალურ დონეზე, მუნიციპალიტეტების პრეროგატივაა.

## სარჩევი

მოკლე შეჯამება .....	3
1. შესავალი .....	8
1.1 ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის ცნება და განმარტება.....	8
1.2 ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელობა და ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის როლი ტყის მდგრადი და თანასწორი მართვის პრაქტიკის უზრუნველსაყოფად.....	14
1.3 გენდერული როლების მნიშვნელობა ტყის მენეჯმენტში და მათი ზემოქმედება ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზზე.....	16
1.4 სახელმძღვანელოს მიზნები და შინაარსი .....	20
2. არსებული კონტექსტის მიმოხილვა .....	22
2.1 ადგილობრივი/მუნიციპალური ტყის მართვის არსებული პრაქტიკა .....	22
2.2 ტყის მართვასთან დაკავშირებული ბიზნეს პროცესების ანალიზი, საჭირო პროცესებისა და რესურსების მიმოხილვა .....	23
2.3 გენდერული როლები ტყის მენეჯმენტში- საქართველოს კონტექსტის მიმოხილვა .....	28
3. მზადება ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზისთვის .....	30
3.1 არსებული საკანონმდებლო ბაზა და ხელმისაწვდომი ინფორმაცია .....	30
3.2 ეკონომიკასა და გარემოზე გავლენა საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით ...	33
4. ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის ჩატარება .....	35
4.1 სარგებლისა და ხარჯების იდენტიფიცირება და რაოდენობრივი მონაცემების წყაროები .....	35
4.2 სარგებლისა და ხარჯების დისკონტირების პროცესი და ტექნიკა .....	45
4.3 სენსისტიურობის (მგრძნობელობის) ანალიზი .....	48
4.4 ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის შედეგები .....	49
5. შეჯამება .....	50
6. გამოყენებული ლიტერატურა .....	52
7. დანართები .....	53

❖ მონაცემთა ჩამონათვალი

ფიგურა 1: ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის პროცესის განხორციელების ზოგადი ნაბიჯები.....	9
-------------------------------------------------------------------------------------	---

## ❖ ცხრილთა ჩამონათვალი

<b>ცხრილი 1:</b> გარემოს დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისა და საქართველოს ეროვნული სატყეო სააგენტოს ხელმძღვანელ თანამდებობებზე დასაქმებულთა რაოდენობა .....	28
<b>ცხრილი 2:</b> მუნიციპალური და მდგრადი ტყის მართვის შედეგების ეკონომიკური გავლენა საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით. ....	33
<b>ცხრილი 3:</b> მუნიციპალური და მდგრადი ტყის მართვის შედეგების გარემოზე გავლენა საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით. ....	34
<b>ცხრილი 4:</b> საქართველოში მუნიციპალურ ტყის მართვასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელის კატეგორიები ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზისათვის. ....	36
<b>ცხრილი 5:</b> მრავალკრიტერიუმიანი ანალიზი მუნიციპალური ტყის მართვის სარგებლის ხარისხობრივი კომპონენტების შესაფასებლად.....	40
<b>ცხრილი 6 :</b> საქართველოში მუნიციპალურ ტყის მართვასთან დაკავშირებული ეკონომიკური ხარჯების კატეგორიები ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზისათვის. ....	42
<b>ცხრილი 7:</b> მრავალკრიტერიუმიანი ანალიზი მუნიციპალური ტყის მართვის პოტენციური დამატებითი ხარჯების ხარისხობრივი კომპონენტების შესაფასებლად.....	44

## ❖ აბრევიატურათა ჩამონათვალი

თდღ	თუშეთის დაცული ლანდშაფტი
სსიპ	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
CBA	ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი
CBD	ბიომრავალფეროვნების კონვენცია
ENPV	ეკონომიკური წმინდა მიმდინარე ღირებულება
FAO	სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
IUCN	ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი
MCA	მრავალ კრიტერიუმიანი ანალიზი
MFM	მუნიციპალური ტყის მართვა
NPV	წმინდა მიმდინარე ღირებულება
UNFCCC	გაეროს ჩარჩო კონვენცია კლიმატის ცვლილების შესახებ
UNFF	გაეროს ტყეების ფორუმი
CEDOW	ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ კონვენც

## 1. შესავალი

### 1.1 ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის ცნება და განმარტება

ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი (CBA) არის შეფასების ჩარჩო, რომელიც პროექტის ან პოლიტიკის მოსალოდნელ ხარჯებს სისტემატურად ადარებს მის სარგებელს, გამოხატულს ფულად ერთეულებში. ესაა ფულად ღირებულებაში პროექტის მოსალოდნელი ხარჯებისა და მოსალოდნელი სარგებლის რაოდენობრივი შეფასება ალტერნატიული ღირებულების<sup>1</sup> შეფასების საფუძველზე.

CBA-ს არსი მდგომარეობს მის უნარში, გადაწყვეტილების მიღებისთვის უზრუნველყოს რაოდენობრივი საფუძველი, რომელიც ხელს შეუწყობს იმის შეფასებას, გადაწონის თუ არა კონკრეტული ქმედების სარგებელი მის ხარჯებს და რამდენად (Boardman et al., 2018). მსგავსი მიდგომა პოლიტიკის შემქმნელებს და დაინტერესებულ მხარეებს საშუალებას აძლევს მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები. აღნიშნული ანალიზი რესურსების ეფექტიანი გამოყენების მიზნით იძლევა პროექტის ეკონომიკური მიზანშეწონილობისა და ალტერნატიული ვარიანტების შეფასების შესაძლებლობას. ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის დროს პროექტთან ან კონკრეტულ ცვლილებასთან დაკავშირებული პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯები და სარგებელი გამოსახულია ფულად ღირებულებაში, გარდა ამისა, ასევე გამოითვლება მათი წმინდა მიმდინარე ღირებულება<sup>2</sup>. ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის დროს ხორციელდება პროექტის ზეგავლენის შედარება „არაფრის კეთების“ ალტერნატივასთან.

ბევრ მოდელში, ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი ასევე განსაზღვრავს პროექტის ალტერნატიულ ღირებულებას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ალტერნატიული ღირებულება ესაა სხვა, მეორე საუკეთესო ალტერნატივის რეალიზაციით მისაღები პოტენციური სარგებელი, რომელიც არ რეალიზდა, რადგან გადაწყვეტილების მიმღებმა მხარეებმა სხვა არჩევანი გააკეთეს. აქედან გამომდინარე, ალტერნატიული ღირებულება არის არჩევანის ან გადაწყვეტილების შედეგად დაკარგული ან ხელიდან გაშვებული შესაძლებლობა, სარგებელი. ალტერნატიული დანახარჯების განსაზღვრა პროექტის დაინტერესებულ მხარეებს საშუალებას აძლევს შეაფასონ სარგებელი არა მხოლოდ მიმდინარე არჩევანისათვის, არამედ სხვა ალტერნატივებისათვისაც. ყველა ვარიანტისა და ხელიდან გაშვებული პოტენციური შესაძლებლობების გათვალისწინებით, ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი უფრო საფუძვლიანია და უკეთესი გადაწყვეტილების მიღების საშუალებას იძლევა.


აღსანიშნავია, რომ არ არსებობს ერთი, საყოველთაოდ მიღებული მეთოდი ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის განხორციელებისთვის. თუმცა, ყველა პროცესს, როგორც წესი, აქვს შემდეგი ხუთი ნაბიჯის გარკვეული ვარიაცია: პროექტის ფარგლებისა და მიზნების იდენტიფიცირება, ხარჯების განსაზღვრა, სარგებლის განსაზღვრა, ანალიზის ჩატარება, მიღებული შედეგების ინტერპრეტირება და რეკომენდაციების განვითარება (იხ. ფიგურა 1). ქვემოთ მოცემულია თითოეული ეტაპის შინაარსის მიმოხილვა:

1 ალტერნატიული დანახარჯები (ღირებულება) - (opportunity cost) - ხელიდან გაშვებული შესაძლებლობების დანახარჯი (ღირებულება), იმ საკონლისა და მომსახურების ალტერნატიული დანახარჯი, რომელთა დათმობა აუცილებელია მოცემული საკონლისა და მომსახურების საწარმოებლად ან შესაძენად. ალტერნატიული ღირებულება ესაა სხვა, მეორე საუკეთესო ალტერნატივის რეალიზაციით მისაღები პოტენციური სარგებელი, რომელიც არ რეალიზდა, რადგან გადაწყვეტილების მიმღებმა მხარეებმა სხვა არჩევანი გააკეთეს.

2 პროექტის სასიცოცხლო ციკლის მანძილზე მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების (დადებითი და უარყოფითი) ჯამის დისკონტირებული (მიმდინარე პერიოდის) ღირებულება; ამ ტერმინების განმარტება მოცემულია შემდგომ ქვეთავში.



ფიგურა 1: ხარჯ-სარგებლოანობის ანალიზის პროცესის განხორციელების ზოგადი ნაბიჯები



### 1. პროექტის ფარგლებისა და მიზნების იდენტიფიცირება

საწყისი ეტაპზე ხდება სიტუაციის გააზრება, მიზნების განსაზღვრა და ანალიზის ჩარჩოს შექმნა. იგი მოიცავს პროექტის დაგეგმვას, დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირებას, მათთან კონსულტაციას და საჭირო შეფასების ტექნიკის განსაზღვრას. აღნიშნულ ეტაპზე ხდება პროექტის დაგეგმვა, მათ შორის ვადების, საჭირო რესურსების, შეზღუდვების, საჭირო პერსონალის ან ალტერნატიული შეფასების ტექნიკის განსაზღვრა.

### 2. ხარჯების განსაზღვრა და მონეტიზება

ეკონომიკური CBA-ის პერსპექტივაში ხარჯების განსაზღვრისა და მონეტიზაციის ეტაპი გადამწყვეტია. ეს პროცესი მოიცავს პროექტთან ან გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის ყოვლისმომცველ იდენტიფიკაციას და რაოდენობრივ განსაზღვრას (მონეტიზაციას). მნიშვნელოვანია, რომ ზოგიერთი ხარჯი თავიდან რაოდენობრივად (ფიზიკურად) არის შესაფასებელი წლების მიხედვით და შემდგომ ფულად ღირებულებაში გადასაყვანი<sup>3</sup>. ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს მოიცავს ხარჯების ფართო სპექტრს, განსაკუთრებით ეკონომიკურ, ეკოლოგიურ (გარემოსდაცვით) და სოციალურ განზომილებებს.

- **ეკონომიკური ხარჯები:** ეს არის პირდაპირი ფინანსური ხარჯები, რომლებიც საჭიროა პროექტის განხორციელებისა და ფუნქციონირებისთვის. ისინი მოიცავს შრომის, მასალების, აღჭურვილობის და სხვა რესურსების ხარჯებს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ პროექტში. ეკონომიკური დანახარჯები ასევე მოიცავს ალტერნატიულ დანახარჯებსაც. ამ დანახარჯების მონეტიზაცია ხშირად მარტივია ხელმისაწვდომი რაოდენობრივი მაჩვენებლების არსებობის გამო, მაგრამ გამოწვევა ხშირად მდგომარეობს მომავალი შესაძლო დანახარჯების ზუსტად პროგნოზირებაში.
- **ეკოლოგიური (გარემოსდაცვითი) ხარჯები:** ხარჯების გარემოსდაცვითი განზომილება კრიტიკულია, განსაკუთრებით ბუნებრივ ეკო სისტემებთან მნიშვნელოვანი ურთიერთქმედების მქონე პროექტებში. ეს ხარჯები მოიცავს ეკოსისტემების პოტენციურ დეგრადაციას, ბიომრავალფეროვნების დაკარგვას, დაბინძურებას და სხვა უარყოფით ზემოქმედებას ბუნებრივ რესურსებზე. გარემოსდაცვითი ხარჯების მონეტიზაცია შეიძლება რთული იყოს, რადგან ის

3 მაგ. ჰესის მშენებლობის დროს რამდენიმე ტყე გაიჩეხება ჯერ მათი ფიზიკური მოცულობა უნდა ვიცოდეთ და მერე გადავიყვანოთ ფულად ღირებულებაში.

მოითხოვს ფულადი ღირებულების მინიჭებას გარემოს ასპექტებისთვის, რომლებიც ჩვეულებრივ არ იყიდება ბაზრებზე. ამ ხარჯების შესაფასებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას ისეთი ტექნიკა, როგორიცაა პირობითი შეფასება ან აღდგენის ღირებულება, ასევე სხვადასხვა არსებული ნაშრომებისა და რესურსების მეტა-ანალიზი<sup>45</sup> და სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით შეფასებული გარემოსდაცვითი ხარჯების ლოკალურ კონტექსტზე მორგება.

- **სოციალური ხარჯები:** სოციალური ხარჯები ასახავს პროექტის ზემოქმედებას ინდივიდებისა და თემების კეთილდღეობაზე. ეს შეიძლება მოიცავდეს თემების შეფერხებებს, ზემოქმედებას საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე, სოციალურ ერთიანობაში ცვლილებებს და სხვა ეფექტებს, რომლებმაც შეიძლება შეცვალოს სოციალური სტრუქტურა. გარემოსდაცვითი ხარჯების მსგავსად, სოციალური დანახარჯების რაოდენობრივი შეფასება ფულადი თვალსაზრისით რთულია. თუმცა, სოციალური ზემოქმედების ფულადი ღირებულების შესაფასებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას ისეთი მეთოდები, როგორიცაა გადახდისათვის მზადყოფნის<sup>46</sup> შეფასება, ჰედონური ფასდადება<sup>47</sup> და სხვა.

ეკონომიკურ და სოციალურ განზომილებებში შესაძლებელია მოვიაზროთ გენდერული ასპექტიც. მთელი რიგი საერთაშორისო ჩარჩო-ხელშეკრულებები „სოფლად მცხოვრები ქალების შესახებ ყურადღებას ამახვილებს ქალთა მნიშვნელოვან წვლილზე და ხაზს უსვამს მათ როლს, რომელსაც ისინი ასრულებენ ოჯახების ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფაში, მათ შორის არასასაქონლო დარგებში სახელმწიფოებს ევალუატი უზრუნველყონ სოფლად მცხოვრები ქალებისა და კაცების თანაბარი მონაწილეობა და მისაწვდომობა სხვადასხვა რესურსებზე. სამწუხაროდ, ქალების განდევნის და უხილავობის შემთხვევებს ვაწყდებით ისეთ სექტორებში, როგორიცაა სატყეო მეურნეობა, ენერგეტიკა, ტრანსპორტი, მშენებლობა და ინფრასტრუქტურა, სადაც, როგორც წესი, არ გროვდება გენდერული ნიშნით ჩაშლილი მონაცემები. გენდერულ თანასწორობასა და ტყეებს შორის კავშირმა, შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს გარემოსდაცვითი ინიციატივების წარმატებასა და მდგრადობაზე“ (საკონსულტაციო კომპანია DEPA Consulting, 2024). გენდერული როლების მნიშვნელობა ტყის მართვაში განხილული ქვემოთ მოცემულ თავებში.

ამ ნაწილში უნდა გავითვალისწინოთ **უარყოფითი გარე ეფექტები („ექსტერნალიები“)**<sup>48</sup>, ან გაუთვალისწინებელი ხარჯი მესამე მხარისთვის. მაგალითად, პროექტით გამოწვეული ინდუსტრიული დაბინძურება და სხვა (Pearce, Atkinson, & Mourato, 2006).

4 სტატისტიკური ტექნიკა, რომლის მიზანია ჯგუფთა შორის სხვაობის საერთო შეფასება დადგენა რამდენიმე გამოკვლევიდან მიღებული ინფორმაციის კომბინაციის გზით. სხვა სიტყვებით, უკვე ჩატარებული გამოკვლევებიდან, ნაშრომებიდან ინფორმაციის მიღება და გაერთიანება.

5 ხანდაზან იყენებენ TEEB ტექნიკას - "ეკოსისტემებისა და ბიომრავალფეროვნების ეკონომიკა". ეს არის გლობალური ინიციატივა, რომელიც დაიწყო 2007 წელს გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) მიერ, რომლის მიზანია შეაფასოს ბიომრავალფეროვნების, ეკოსისტემებისა და მათ მიერ საზოგადოებისთვის მიწოდებული სერვისების ეკონომიკური ღირებულების შეფასება.

6 გადახდისადმი მზადყოფნა (WTP) არის კონცეფცია, რომელიც გამოიყენება იმისათვის, რომ განისაზღვროს ის მაქსიმალური თანხა, რომლისთვისაც ინდივიდი მზად არის დახარჯოს საქონლის ან მომსახურების შესაძენად ან რაიმე არასასურველის თავიდან ასაცილებლად. ეს არის ფუნდამენტური საზომი ეკონომიკაში და ბაზრის კვლევაში, რომელიც გვხვდება გავიგოთ სამომხმარებლო ღირებულების აღქმა და მოთხოვნა პროდუქტზე ან მომსახურებაზე სხვადასხვა ფასების წერტილში. WTP განსაკუთრებით სასარგებლოა სიტუაციებში, როდესაც საბაზრო ფასები არ არის ხელმისაწვდომი ან არასაბაზრო საქონლის შეფასებისას, როგორიცაა გარემოსდაცვითი სარგებელი, საზოგადოებრივი საქონელი ან არამატერიალური აქტივები.

7 ჰედონური ფასდადება არის ეკონომიკური შეფასების მეთოდი, რომელიც გამოიყენება საქონლის ან მომსახურების ღირებულების შესაფასებლად მის კომპონენტურ ატრიბუტებზე დაყოფით და თითოეული ატრიბუტის წვლილის განსაზღვრით მთლიან ფასში. მაგალითად, გარემოსდაცვითი ეკონომიკისა და უძრავი ქონების კონტექსტში, ჰედონური ფასები ხშირად გამოიყენება ქონების ღირებულებებზე სხვადასხვა ფაქტორების გავლენის შესაფასებლად, როგორიცაა გარემოს ხარისხი, მდებარეობა და სხვა კეთილმოწყობა თუ არასასიამოვნო კომპონენტები.

8 გარეგანი ეფექტი არის ერთი პიროვნების ქმედების გავლენა მეორე პიროვნების ეკონომიკურ მდგომარეობაზე. თუ ეს გავლენა მეორე პიროვნებისთვის წამგებიანია, ასეთ ეფექტს უარყოფითი გარეგანი ეფექტი ეწოდება. უარყოფითი გარეგანი ეფექტის მაგალითია ქარხანა, რომლის გამონახოლქვიც ან საწარმოო ნარჩენებიც ბუნებას აბინძურებს და მავნე ზემოქმედებას ახდენს ადამიანთა ჯანმრთელობაზე.

ხარჯების განსაზღვრისა და მონეტიზაციის პროცესი არის ყოვლისმომცველი შეფასება, რომელიც მოითხოვს ინტერდისციპლინურ ექსპერტიზას. ეკონომისტები, გარემოსდაცვითი მეცნიერები და სოციალური მკვლევრები ხშირად თანამშრომლობენ, რათა უზრუნველყონ ყველა შესაბამისი ხარჯის იდენტიფიცირება და სათანადო შეფასება. ეს ჰოლისტიკური მიდგომა უზრუნველყოფს, რომ ეკონომიკურმა CBA-მ გაითვალისწინოს პროექტთან დაკავშირებული ხარჯების სრული სპექტრი, რაც უზრუნველყოფს მყარ საფუძველს მოსალოდნელ სარგებელთან შედარებისთვის.

### **3. სარგებლის განსაზღვრა და მონეტიზება**

სარგებლის განსაზღვრისა და მონეტიზაციის ეტაპი მოიცავს პროექტთან დაკავშირებული ყველა დადებითი შედეგის იდენტიფიცირებას და მათ ფულად ღირებულებებად გადაქცევას, რაც მოიცავს სარგებლის ფართო სპექტრს ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური განზომილებების მიხედვით.

- **ეკონომიკური სარგებელი:** პირდაპირი ფინანსური მოგება პროექტიდან, როგორიცაა გაზრდილი შემოსავლები და ხარჯების დაზოგვა, არის პირველადი ეკონომიკური სარგებელი. ეს სარგებელი ასევე ეხება არაპირდაპირი უპირატესობების შექმნასაც, როგორიცაა სამუშაო ადგილების შექმნა და ბაზრის კონკურენტუნარიანობის გაზრდა (Boardman et al., 2018). ამ სარგებლის მონეტიზაცია მოითხოვს პროექტის მიერ გენერირებული დამატებითი ღირებულებების შეფასებას ისეთი მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა მომავალი ფულადი ნაკადების ანალიზი.
- **გარემოსდაცვითი სარგებელი:** პროექტებმა შეიძლება გამოიწვიოს გარემოზე მნიშვნელოვანი დადებითი ზემოქმედება, მათ შორის ჰაბიტატის აღდგენა და დაბინძურების შემცირება. ამ სარგებლისთვის ფულადი ღირებულებების მინიჭება ხშირად მოიცავს ისეთ მეთოდებს, როგორიცაა სარგებლის გადაცემის მეთოდი<sup>9</sup> ან გარემოსდაცვითი ზიანის თავიდან აცილების ღირებულების შეფასება (Tietenberg & Lewis, 2016). ეს მიდგომები ხელს უწყობს პროექტის მიერ შენარჩუნებული ან გაუმჯობესებული ბუნებრივი აქტივებისა და ეკოსისტემური სერვისების არსებითი ღირებულების რაოდენობრივ განსაზღვრას.
- **სოციალური სარგებელი:** საზოგადოების კეთილდღეობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება წარმოადგენს გადამწყვეტ სოციალურ სარგებელს. ეს მოიცავს ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, საგანმანათლებლო წინსვლას, გაზრდილ სოციალურ თანამონაწილეობას და სხვა. ასეთი სარგებლის მონეტიზაცია შეიძლება მოიცავდეს ისეთ ტექნიკებს, როგორიცაა პირობითი შეფასება<sup>10</sup>, რომელიც აფასებს ინდივიდების მზადყოფნას გადაიხადონ არასაბაზრო სარგებლისთვის (Hanley, Shogren, & White, 2007).

როგორც ხარჯების ნაწილშია აღინიშნული, ეკონომიკურ და სოციალურ განზომილებებში შესაძლებელია მოვიაზროთ გენდერული ასპექტიც. ასევე, ამ ნაწილში უნდა გავითვალისწინოთ **დადებითი გარე ფაქტორები („ექსტერნალიები“)**<sup>11</sup>, ან გაუთვალისწინებელი სარგებელი მესამე მხარისთვის. მაგალითად, გარემოს აღდგენის

9 სარგებლის გადაცემის მეთოდი არის ეკონომიკური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება ეკო სისტემური სერვისების და გარემოსდაცვითი საქონლის ღირებულების შესაფასებლად, ერთ ადგილას ან კონტექსტში უკვე დასრულებული კვლევებიდან ხელმისაწვდომი ინფორმაციის გადაცემით სხვა მსგავს სიტუაციაში, სადაც ასეთი მონაცემები არ არსებობს. ეს მეთოდი განსაკუთრებით გამოსადეგია, როდესაც ეკონომიკური შეფასების სრული კვლევის ჩატარება ძალიან ძვირია, შრომატევადია, ან როცა მონაცემთა ხელმისაწვდომობა შეზღუდულია.

10 ინგლისურად contingent valuation

11 გარეგანი ეფექტი არის ერთი პიროვნების ქმედების გავლენა მეორე პიროვნების ეკონომიკურ მდგომარეობაზე. თუ ეს გავლენა მეორე პიროვნებისთვის მომგებიანია, ასეთ ეფექტს დადებითი გარეგანი ეფექტი ეწოდება. დადებითი გარეგანი ეფექტის მაგალითია ისტორიული შენობებისა და ნაგებობების რესტავრაცია, რაც იწვევს როგორც ტურიზმის ზრდას, ასევე სიახლოვეს ანიჭებს ადგილობრივ მოსახლეობას.

პროექტმა შეიძლება გაზარდოს ადგილობრივი ქონების ღირებულება და იქ მცხოვრები საზოგადოების მიმზიდველობა, რაც სარგებელს მოუტანს პროექტში უშუალოდ ჩართულ პირებს (Pearce, Atkinson, & Mourato, 2006).

#### 4. ანალიზის ჩატარება

ყველა ხარჯისა და სარგებლის იდენტიფიცირებისა და განსაზღვრის შემდგომ ტარდება ანალიზი, რისთვისაც მნიშვნელოვანია იმ **დროის პერიოდის განსაზღვრა**, რა პერიოდზეც გვაინტერესებს პროექტის ან გადაწყვეტილების შეფასება. ამ ნაწილში უნდა შეფასდეს, არჩეული დროის პერიოდზე როგორაა გადანაწილებული დანახარჯებისა და სარგებლის ნაკადები და შემდეგ მოხდეს პროექტის სასიცოცხლო ციკლის მანძილზე მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების (დადებითი და უარყოფითი) ჯამის დისკონტირება, ანუ ახლანდელ/მიმდინარე ღირებულებაში გადმოყვანა. თუ ჯამური სარგებელი მიმდინარე ღირებულებაში უფრო მაღალია ვიდრე ხარჯები, მაშინ პროექტს მოაქვს წმინდა სარგებელი პროექტისათვის.

ანალიზის ჩატარებისას, მნიშვნელოვანია გენდერული როლების საკითხის გამოყოფაც, თუ მონაცემები ამის საშუალებას იძლევა. ტყის მენეჯმენტში გენდერული როლების მნიშვნელობა სულ უფრო მეტად აღიარებულია, როგორც გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ამ სექტორში მდგრადობისა და სამართლიანი სარგებლის გასაძლიერებლად. გენდერული როლები მნიშვნელოვან, მაგრამ ხშირად შეუმჩნეველ როლს თამაშობს ტყის მენეჯმენტში, რაც გავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა ასპექტებზე, რესურსების გამოყენებაზე და საბოლოოდ, ტყის მართვის ინიციატივების ხარჯ-სარგებლიანობის შედეგებზე. გენდერულმა როლებმა განაპირობა შრომის მკაფიო დაყოფა ტყის მართვის აქტივობებში. მამაკაცები, როგორც წესი, დაკავშირებული არიან ისეთ საქმიანობებთან, როგორიცაა ხე-ტყის მოპოვება და მძიმე ტექნიკის მუშაობა, ხოლო ქალები უფრო მეტად ჩართულნი არიან ისეთ აქტივობებში, როგორიცაა ტყის არამერქნული პროდუქტების შეგროვება, სანერგეების მოვლა და საყოფაცხოვრებო რესურსების მართვა. შრომის დანაწილების ასეთ მიდგომას შეუძლია გავლენა მოახდინოს ტყის მართვის პრაქტიკის ეფექტურობაზე, რადგან ამის საფუძველზე განისაზღვრება ვის აქვს წვდომა გარკვეულ რესურსებზე და გამოცდილებაზე. აღნიშნული ნაწილი უფრო დეტალურად განხილულია ქვემოთ მოცემულ, 1.3 ქვეთავში.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 თებერვლის №65 დადგენილება ანალიზთან დაკავშირებულ შემდეგ ტერმინებს განმარტავს:<sup>12</sup>

- **წმინდა მიმდინარე ღირებულება (NPV – Net Present Value)** – პროექტის სასიცოცხლო ციკლის მანძილზე მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების (დადებითი და უარყოფითი) ჯამის დისკონტირებული ღირებულება;
- **ENPV (ეკონომიკური წმინდა მიმდინარე ღირებულება)** – პროექტის სასიცოცხლო ციკლის მანძილზე მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების, მათ შორის ეკონომიკური სარგებლისა და ხარჯების ჯამის დისკონტირებული ღირებულება;
- **ხარჯ-სარგებლიანობის კოეფიციენტი (Benefit cost ratio)** – პროექტის სიცოცხლის ხანგრძლივობის მთელი პერიოდის მანძილზე მთლიანი დისკონტირებული სარგებლის თანაფარდობა მთლიან დისკონტირებულ ხარჯებთან;
- **ალტერნატიული ღირებულება** – რესურსის ღირებულება საუკეთესო ალტერნატიული ვარიანტის გამოყენების შემთხვევაში. ეკონომიკური ანალიზის დროს პროექტის შეძენილი რესურსის ალტერნატიული ღირებულება არის მისი

<sup>12</sup> საქართველოს მთავრობის დადგენილება №65; 2023 წლის 16 თებერვალი; საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე

ზღვრული სოციალური ღირებულება საუკეთესო ალტერნატიული გამოყენების (რომელიც პროექტს არ უკავშირდება) ან ამჟამინდელი გამოყენების შემთხვევაში (იზომება გადახდისადმი მზადყოფნის საფუძველზე), თუ ეს საბოლოო პროდუქტი ან მომსახურებაა (მათ შორის, სახელმწიფო დეპოზიტებზე დარიცხული სარგებელი);

- **გარე ფაქტორები (Externalities)** – ხარჯი ან სარგებელი, რომელიც პირდაპირ არ აკუმულირდება პროექტის განმახორციელებელი სუბიექტის ანგარიშებზე (ანუ ის არ შეიძლება აისახოს ფინანსურ ანგარიშებში, რადგანაც საბაზრო ფასი არ აქვს) ან/და რომელიც ფინანსური ნაკადების თვალსაზრისით პროექტს პირდაპირ ვერ დაუკავშირდება. იგი შეიძლება იყოს პოზიტიური ან ნეგატიური;
- **დისკონტირება** – პროცესი, რომლის დროსაც მომავალში მისაღები სარგებელი და გასაწევი ხარჯების ნომინალური ინდიკატორები გამოსახულია მიმდინარე ღირებულებაში, „დისკონტირების განაკვეთი“ არის უარყოფითი საპროცენტო განაკვეთის ანალოგიური წლიური განაკვეთი, რომლითაც მომავალ ხარჯებსა და სარგებელს ამცირებენ შესაძარებელი მიმდინარე ღირებულებების დასადგენად.

## **5. მიღებული შედეგების ინტერპრეტირება და რეკომენდაციების მომზადება**

საბოლოო ნაბიჯი მოიცავს დასკვნების სინთეზს, ხარჯებისა და სარგებლის შეჯამებას და ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციის მომზადებას გენდერული ასპექტების გათვალისწინებით. ეს მოიცავს რესურსების შეზღუდვების გათვალისწინებას, რამაც შეიძლება მოითხოვოს ურთიერთგამომრიცხავი გადაწყვეტილებების მიღება რამდენიმე პოზიტიურ ვარიანტს შორის.

აღსანიშნავია, რომ CBA-საც აქვს გარკვეული შეზღუდვები. მიუხედავად იმისა, რომ ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი ეფექტურია მცირე და საშუალო ზომის პროექტებისთვის, მან შეიძლება სრულად ვერ აითვისოს უფრო დიდი, გრძელვადიანი პროექტების სირთულეები, სადაც, მაგალითად, ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ინფლაცია და საპროცენტო განაკვეთები, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ პროგნოზებზე. უფრო მეტიც, პროგნოზირებულ მონაცემებზე დაყრდნობაც, როგორიცაა სამომავლო შემოსავლები და ხარჯები, იწვევს გაურკვევლობას და გარკვეულ უზუსტობებს.

ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, CBA მონაცემების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისთვის ერთ-ერთ მტკიცე საფუძველად რჩება, სადაც ყველა რეკომენდებული შედეგი ემყარება კონკრეტულ საკითხზე მორგებულ რაოდენობრივ მონაცემებს. ეს მეთოდოლოგიური მიდგომა მოითხოვს ყოვლისმომცველ კვლევას ხარჯების სპექტრის მასშტაბით, რაც მოითხოვს როგორც პროგნოზირებადი და არაპროგნოზირებადი ხარჯების, ასევე ამ ხარჯების შინაარსისა და მახასიათებლების გაგებას. ასეთი საფუძველიანი ანალიზი არა მხოლოდ დასკვნებს ამლიერებს, არამედ სტრატეგიული დაგეგმვის ინიციატივების მხარდაჭერასაც პროექტის შედეგების პროგნოზირებულ ანალიზზე დაფუძნებული უფრო მტკიცე საფუძვლის მიწოდებით.

## 1.2 ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელობა და ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის როლი ტყის მდგრადი და თანასწორი მართვის პრაქტიკის უზრუნველსაყოფად

ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესი ფუნდამენტურია სხვადასხვა სექტორსა და დისციპლინაში, ხოლო ხარჯ-სარგებლიანობის ინსტრუმენტი გადამწყვეტ როლს თამაშობს ამ გადაწყვეტილებების ხელშეწყობაში. CBA გვთავაზობს სტრუქტურირებულ მიდგომას პოტენციური ქმედებების შედეგების შესაფასებლად თითოეულ ვარიანტთან დაკავშირებული ხარჯებისა და სარგებლის სისტემატური შედარების გზით. ეს მეთოდოლოგია უზრუნველყოფს საფუძველს, რომ გადაწყვეტილებები არ არის დაფუძნებული მხოლოდ ინტუიციურ განსჯაზე ან ნაწილობრივ შეფასებებზე, არამედ ეფუძნება მათი ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების ყოვლისმომცველ შეფასებას.

თავისი არსით, CBA მიზნად ისახავს რაოდენობრივად განსაზღვროს სხვადასხვა არჩევანის დადებითი და უარყოფითი ასპექტები საერთო განზომილებაში, ჩვეულებრივ ფულად ღირებულებაში, რათა მოხდეს მათი პირდაპირი შედარება. CBA ასევე ითვალისწინებს მცდელობებს მიენიჭოს ღირებულება უფრო არამატერიალურ ელემენტებს, როგორიცაა გარემოზე ზემოქმედება და სოციალური კეთილდღეობა. ამით, CBA მკაფიო, გამჭვირვალე ჩარჩოს უზრუნველყოფს სხვადასხვა გადაწყვეტილების შედარებითი უპირატესობის შესაფასებლად, რაც მას ფასდაუდებელ ინსტრუმენტად აქცევს პოლიტიკის შემქმნელებისთვის, ბიზნეს ლიდერებისა და გადაწყვეტილების მიმღებები სხვა მხარეებისთვის.

CBA-ის გამოყენება სცილდება ხარჯებისა და შემოსავლების მარტივ გამოთვლებს და მოიცავს მომავალი ღირებულებების დისკონტირების პრინციპებს გადაწყვეტილებების განაწილების ზემოქმედების გათვალისწინებით. მსგავსი ფართო პერსპექტივა მნიშვნელოვანია გადაწყვეტილებების გრძელვადიანი შედეგების გასაგებად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ ისინი შეესაბამება მდგრადი განვითარების მიზნებს და სოციალურ, მათ შორის გენდერულ თანასწორობას.

გარდა ამისა, CBA-ს გამოყენება გადაწყვეტილების მიღების პროცესში აძლიერებს ანგარიშვალდებულებას და გამჭვირვალობას. სტრუქტურირებულ, რაოდენობრივად განსაზღვრად არჩევანის დასაბუთებით, CBA ხელს უწყობს დაინტერესებულ მხარეებს შორის ნდობის ჩამოყალიბებას და უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების დაცვასა და გამართლებას. გამჭვირვალობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საჯარო სექტორის გადაწყვეტილებებში, სადაც მოქალაქეებისა და დაინტერესებული მხარეების წინაშე ანგარიშვალდებულება უმთავრესია.

**CBA-ის ინსტრუმენტის მნიშვნელობა იკვეთება საქართველოს საკანონმდებლო აქტებსა და მთავრობის დადგენილებებში.** საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 თებერვლის №65 დადგენილების მიხედვით, CBA საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის მნიშვნელოვანი ნაწილი და შეფასების ინსტრუმენტია. „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის შემუშავების მიზანია საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის ერთიანი ციკლის დანერგვა, რათა დაეხმაროს საბიუჯეტო ორგანიზაციებს საინვესტიციო/კაპიტალური ინვესტიციების თანმიმდევრულ და ყოველმხრივ შეფასებაში და კონკურენტი პროექტების



პრიორიტეტულობის დადგენაში, რომელიც უზრუნველყოფს, სტრატეგიული დაგეგმვისა და ბიუჯეტის მომზადების პროცესში, როგორც მთელი ქვეყნის მასშტაბით, ისე დარგობრივი მიმართულებებით, საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულების გაძლიერებას და სახელმწიფო რესურსების ეფექტიან გამოყენებას<sup>13</sup>.

გარდა აღნიშნული დადგენილებისა, CBA-ის მნიშვნელობა ხაზგასმულია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 იანვრის №35-ე დადგენილებაშიც, რომელიც რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცებას ეხება<sup>14</sup>. დადგენილების მიხედვით, განისაზღვრა რეგულირების ზეგავლენის შეფასების განხორციელების წესი და პირობები იმ საკანონმდებლო ინიციატივებისთვის, რომელთათვისაც სავალდებულო გახდა აღნიშნული ანალიზი. სიღრმისეული რეგულირების ზეგავლენის შეფასებისათვის დადგენილება გავლენების რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზისათვის სწორედ CBA-ს განიხილავს ერთ-ერთ ინსტრუმენტად.

CBA-ის კონცეფცია ტყის მართვის მნიშვნელოვან ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს, განსაკუთრებით მუნიციპალურ დონეზე, სადაც ტყესთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების გავლენა ადგილობრივი თემების მიერ უშუალოდ იგრძნობა. CBA გვთავაზობს მეთოდურ მიდგომას ტყის მენეჯმენტის ინიციატივების სხვადასხვა შედეგების შესაფასებლად, ხარჯების შედარების გზით მიღებულ სარგებელს, რითაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესების ეკონომიკურ ეფექტურობასა და მდგრადობას (Boardman et al., 2018). ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუნიციპალურ ტყის მენეჯმენტში, სადაც ტყეების მრავალმხრივი როლი - ბიომრავალფეროვნების კონსერვაციიდან საარსებო წყაროს უზრუნველყოფამდე - მოითხოვს დაბალანსებულ მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს როგორც ეკოლოგიურ, ასევე სოციალურ-ეკონომიკურ განზომილებებს.

უფრო მეტიც, CBA-ის მნიშვნელობა სცილდება უბრალო ეკონომიკურ მოსაზრებებს და მოიცავს სოციალურ და გარემოსდაცვით ასპექტებს, რითაც შეესაბამება ტყის მდგრადი მართვის პრინციპებს, რომლებიც მხარს უჭერენ ეკოსისტემების და მათზე დამოკიდებული თემების ყოვლისმომცველი კეთილდღეობის დაცვას (Boardman et al., 2018). ამდენად, CBA-ს ინტეგრაცია მუნიციპალური ტყის მართვაში (MFM) არა მხოლოდ ეკონომიკური წინდახედულობის საკითხია, არამედ ეთიკური იმპერატივია მომავალი თაობებისთვის ბუნებრივი რესურსების პასუხისმგებლობით მართვისთვის.

ტყის მართვის კონტექსტში, CBA ხდება შეუცვლელი ინსტრუმენტი ტყესთან დაკავშირებული პროექტებისა და პოლიტიკის სიცოცხლისუნარიანობისა და მდგრადობის შესაფასებლად. ტყეების მრავალფუნქციური ბუნების გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ განზომილებებს, CBA გვეხმარება ტყის მართვის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული ხარჯებისა და სარგებლის სრული სპექტრის განსაზღვრაში. მაგალითად, ტყეების მიერ მოწოდებული ეკოსისტემური სერვისების ეკონომიკური შეფასება, როგორცაა, ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია, შეიძლება ჩართული იყოს CBA ჩარჩოში, რათა გადაწყვეტილების მიღების პროცესში გათვალისწინებული იქნას ეს მნიშვნელოვანი სარგებელიც.

CBA-ის ინტეგრაცია და გენდერული პერსპექტივა მუნიციპალური ტყის მართვაში მყარ საფუძველს იძლევა ყოვლისმომცველი სასწავლო მოდულებისა და გაიდლაინების

13 საქართველოს მთავრობის დადგენილება №65; 2023 წლის 16 თებერვალი; საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე;

14 საქართველოს მთავრობის დადგენილება №35; 2020 წლის 17 იანვარი; რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;

შემუშავებისთვის. ეს ინსტრუმენტები მიზნად ისახავს გააძლიეროს ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, თემის ლიდერები და მოსახლეობა, ტყის მართვის გადაწყვეტილებებში ეფექტური მონაწილეობისთვის საჭირო ცოდნითა და უნარებით. ეს მონაწილეობითი მიდგომა არა მხოლოდ აძლიერებს ტყის მართვის პოლიტიკის ლეგიტიმურობასა და მიღებას, არამედ ხელს უწყობს უფრო მდგრად და ადაპტირებული მენეჯმენტის პრაქტიკების განვითარებას, რომლებიც ადგილობრივ პირობებსა და საჭიროებებს უკეთესად ერგება (Agarwal, 2009). ასევე, აღნიშნულ ნაშრომში იკვეთება, რომ ტყის მართვაში გენდერი მნიშვნელოვანია და ანალიზის შედეგები აჩვენებს, რომ იქ სადაც ტყის მართვაში მეტი ქალია ჩართული, ტყეები საერთო ჯამში უკეთეს მდგომარეობაშია და მისი დაცვის მიმართულებითაც საგრძნობი გაუმჯობესება იგრძნობა. ნაშრომი აჩვენებს, რომ ქალების უფრო დიდი მონაწილეობა ტყის მართვაში იწვევს საერთო რესურსების უკეთესად კონსერვაციასა და რეგენერაციას (Agarwal, 2009).

### 1.3 გენდერული როლების მნიშვნელობა ტყის მენეჯმენტში და მათი ზემოქმედება ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზზე

ტყის მენეჯმენტში გენდერული როლების მნიშვნელობა სულ უფრო მეტად აღიარებულია, როგორც გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ამ სექტორში მდგრადობისა და სამართლიანი სარგებლის გასაძლიერებლად. საერთაშორისო სტანდარტებმა და პრაქტიკამ ხაზი გაუსვა გენდერული ინტეგრაციის როლს არა მხოლოდ სამართლიანობის, არამედ როგორც სტრატეგიული მიდგომის გაუმჯობესების გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და სოციალური შედეგების მიმართულებით ტყის კონსერვაციასა და მართვაში. ვინაიდან ტყეები გადამწყვეტ როლს ასრულებენ კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შერბილებაში, ბიომრავალფეროვნებისა და საარსებო წყაროს შენარჩუნებაში, ტყის მენეჯმენტში გენდერული პერსპექტივების ჩართვამ შეიძლება გამოიწვიოს უფრო ყოვლისმომცველი და წარმატებული სტრატეგიები.

ტყის მენეჯმენტში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის საერთაშორისო სტანდარტები და გაიდლაინები შემუშავებულია მდგრადი განვითარების, გარემოს დაცვისა და გენდერულ თანასწორობის საკითხებზე მომუშავე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. აღნიშნული მიმართულებით შესაძლებელია გამოვყოთ შემდეგი დოკუმენტები და ორგანიზაციები:

1. **გაეროს ჩარჩო კონვენცია კლიმატის ცვლილების შესახებ (UNFCCC)**<sup>15</sup>: კონვენცია აღიარებს კლიმატის ცვლილების გენდერულ განზომილებებს და ახალისებს გენდერულ მიდგომებს კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის სტრატეგიებში, მათ შორის ტყეებთან და REDD+-თან მიმართებით (ტყის გაჩეხვისა და ტყის დეგრადაციის გამონაბოლქვის შემცირება).
2. **ბიომრავალფეროვნების კონვენცია (CBD)**<sup>16</sup>: კონვენცია ხაზს უსვამს გენდერული თანასწორობის მნიშვნელობას ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და ბუნებრივი რესურსების, მათ შორის ტყეების მდგრადი გამოყენების საქმეში. იგი სახელმწიფოებს მოუწოდებს გენდერული მოსაზრებების ინტეგრირება მოახდინონ ბიომრავალფეროვნების ეროვნულ სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში, რათა

<sup>15</sup> [გაეროს ჩარჩო კონვენცია კლიმატის ცვლილების შესახებ](#)

<sup>16</sup> [ბიომრავალფეროვნების კონვენცია](#)



უზრუნველყოფილი იყოს ქალებისა და მამაკაცების სრული და თანაბარი მონაწილეობა კონსერვაციის ძალისხმევაში.

3. **გაეროს ტყეების ფორუმი (UNFF)<sup>17</sup>:** ფორუმი დაარსდა 2000 წელს და მისი მიზანია ხელი შეუწყოს ტყეების მდგრად მართვას გლობალურ დონეზე. იგი აღიარებს გენდერული მოსაზრებების ინტეგრირების მნიშვნელობას სატყეო პოლიტიკასა და პროგრამებში მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად. UNFF მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს მიიღონ გენდერული პასუხისმგებლობის მიდგომები თავიანთ ეროვნულ ტყის მართვის გეგმებში.
4. **სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO)<sup>18</sup>:** FAO-მ შეიმუშავა სხვადასხვა სახელმძღვანელო მითითებები და ინსტრუმენტები სატყეო მეურნეობაში გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად, მაგალითად როგორიცაა FAO Forestry Gender Toolkit. ეს რესურსები წარმოადგენს პრაქტიკულ სახელმძღვანელოს გადაწყვეტილების მიმღები პირებისა და ტყის მენეჯერებისთვის გენდერული პერსპექტივების ინტეგრირებისთვის ტყის მართვის პოლიტიკაში, პროგრამებსა და პროექტებში.
5. **ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი (IUCN)<sup>19</sup>:** IUCN ხელს უწყობს გენდერული პასუხისმგებლობის მიდგომების განვითარებას ტყის კონსერვაციისა და მართვის მიმართ თავისი პროგრამების მეშვეობით. კავშირი უზრუნველყოფს მთავრობების, სამოქალაქო ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ტექნიკურ დახმარებას და შესაძლებლობების განვითარებას ტყესთან დაკავშირებულ ინიციატივებში გენდერული თანასწორობის ფორმირების მიზნით.
6. **ეკვადორის პრინციპები<sup>20</sup>:** მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულად არ არის ფოკუსირებული ტყის მართვაზე, ეკვადორის პრინციპები არის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც მიღებულია ფინანსური ინსტიტუტების მიერ პროექტების დაფინანსებაში, მათ შორის სატყეო პროექტებთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების განსაზღვრის, შეფასებისა და მართვისთვის.

გარდა ამისა, ევროკავშირი აქტიურად უჭერს მხარს გენდერულ თანასწორობას და გენდერული პერსპექტივების ინტეგრირებას სხვადასხვა პოლიტიკის სფეროებში, მათ შორის გარემოსდაცვით და სატყეო პოლიტიკაში. ევროკავშირის ვალდებულება გენდერული თანასწორობის მიმართ განმტკიცებულია სხვადასხვა სამართლებრივ ინსტრუმენტებში, როგორიცაა ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულება/ლისაბონის ხელშეკრულება (TFEU) და ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტია. გარდა ამისა, ევროკავშირმა მიიღო დირექტივები და რეგულაციები, რომლებიც მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას დასაქმების, განათლებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში.

აღნიშნული საერთაშორისო სტანდარტები და გაიდლაინები წარმოადგენს სახელმძღვანელო პრინციპებს ტყის მენეჯმენტში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, ქალთა მონაწილეობისა და მდგრადი განვითარებისთვის. ისინი მოითხოვენ გენდერული მოსაზრებების ინტეგრირებას სატყეო პოლიტიკაში, პროგრამებსა და პროექტებში, რათა უზრუნველყონ უფრო ინკლუზიური და სამართლიანი შედეგები.

<sup>17</sup> [გაეროს ტყეების ფორუმი](#)

<sup>18</sup> [სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია](#)

<sup>19</sup> [ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი](#)

<sup>20</sup> [ეკვადორის პრინციპები](#)

ტყის მენეჯმენტში გენდერული თანასწორობის საერთაშორისო კარგი პრაქტიკა გულისხმობს თანაბარი მონაწილეობის, წარმომადგენლობისა და სარგებლის უზრუნველყოფას, როგორც მამაკაცებისთვის, ასევე ქალებისთვის მთელ სატყეო სექტორში. ძირითადი პრინციპი და სტრატეგია მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- **პოლიტიკა და კანონმდებლობა**- პირველ რიგში, გენდერული უთანასწორობა უნდა გვარდებოდეს პოლიტიკისა და კანონმდებლობის დონეზე. რაც გულისხმობს იმას, რომ გენდერული პერსპექტივები ინტეგრირებული უნდა იყოს სახელმწიფოს სატყეო მეურნეობის ეროვნულ პოლიტიკაში, კანონმდებლობასა და რეგულაციებში.
- **ინკლუზიური მონაწილეობა**- მნიშვნელოვანია რომ ტყის მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში თანაბარი მონაწილეობის წახალისება და ხელშეწყობა ხდებოდეს. უფრო კონკრეტულად, აღნიშნული პრინციპი გულისხმობს ქალების შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღონ თემის სატყეო ჯგუფებში, ტყის მომხმარებელთა ორგანიზაციებში და გადაწყვეტილების მიმღებ სხვა ორგანოებში.
- **შესაძლებლობების განვითარება**- ტრენინგებისა და შესაძლებლობების განვითარების პროგრამების უზრუნველყოფა, რომლებიც მიმართულია როგორც მამაკაცებისთვის, ასევე ქალებისთვის, რათა გააძლიერონ თავიანთი ცოდნა და უნარები ტყეების მდგრადი მართვის პრაქტიკაში. ეს შეიძლება მოიცავდეს ტექნიკურ ტრენინგს, ლიდერობის განვითარებას, მეწარმეობის უნარებს და სხვა.
- **გენდერულად ჩაშლილი მონაცემების შეგროვება**- ტყის რესურსების, ტყის მომხმარებლებისა და მათი საარსებო წყაროების შესახებ მონაცემების შეგროვება და ანალიზი გენდერულად დაყოფილი სახით. ეს ხელს უწყობს მამაკაცისა და ქალის სპეციფიკური როლების, საჭიროებების და პრიორიტეტების გააზრებას ტყის მართვასთან დაკავშირებით.
- **ქალთა საკუთრების უფლება**- ქალთა უფლებების ადვოკატირება და დაცვა მიწაზე და ტყის რესურსებზე წვდომის, კონტროლისა და ფლობის შესახებ. ეს გულისხმობს იურიდიულ და პრაქტიკულ ბარიერებს, რომლებიც ზღუდავს ქალთა საკუთრების უფლებას მიწისა და ტყის რესურსებზე.
- **ტყის მართვის პრაქტიკა**- ტყის მართვის პრაქტიკის შემუშავება და ხელშეწყობა, რომელიც ითვალისწინებს მამაკაცისა და ქალის სხვადასხვა საჭიროებებს, პრეფერენციებსა და შეზღუდვებს. ეს მოიცავს აგროტყის სისტემების ხელშეწყობას, ტყის არამერქნული პროდუქტების (NTFPs) მართვას და დამატებითი ღირებულების გადამუშავების აქტივობებს, რომლებიც ხელმისაწვდომია როგორც მამაკაცებისთვის, ასევე ქალებისთვის.

## გენდერული როლების ზეგავლენა ხარჯ-სარგებლიანობის შედეგებზე

გენდერული როლების გავლენა ხარჯ-სარგებლიანობის შედეგებზე სხვადასხვა კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ. პირველ რიგში, აღსანიშნავია შრომის ბაზარზე გენდერული უთანასწორობის საკითხი, რაც გავლენას ახდენს საზოგადოების ეკონომიკურ პროდუქტიულობაზე. იმ შემთხვევაში, თუ ქალებს შეზღუდული აქვთ შრომის ბაზარზე მონაწილეობა და მხოლოდ საშინაო პასუხისმგებლობებით არიან დაკავებული, ამან შეიძლება გამოიწვიოს პოტენციური ეკონომიკური დანაკარგები.

გენდერული როლებიდან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში გარკვეულ საზოგადოებრივ სფეროებში მამაკაცები დომინირებენ, რაც ერთგვარი პროფესიული სეგრეგაციაა, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს ეკონომიკურ ეფექტურობაზე.

გენდერული უთანასწორობა მეწარმეობისა და ბიზნესის სფეროში ასევე დიდ გავლენას ახდენს ხარჯ-სარგებლიანობის შედეგებზე. ქალების მწირი ფინანსური შესაძლებლობები ბიზნესის დაწყებისათვის, იწვევს მრავალფეროვანი მეწარმეობის დაკარგვის საფრთხეს და ეკონომიკური ზრდის შეფერხებას.

ხარჯ-სარგებლიანობის სცენარების შედეგების ინტერპრეტაცია გენდერული პერსპექტივიდან მუნიციპალური ტყის მენეჯმენტში გულისხმობს იმის ანალიზს, თუ როგორ მოქმედებს სხვადასხვა სცენარი რესურსებზე, დასაქმების შესაძლებლობებზე და გადაწყვეტილების მიღების უფლებაზე ქალებისა და მამაკაცებისთვის.

- *რესურსებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით*, გენდერული უთანასწორობის შემთხვევაში, როდესაც ქალებს შეზღუდული აქვთ წვდომა ტყის რესურსებზე, ამან შეიძლება გამოიწვიოს მძიმე ეკონომიკური შედეგები. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ქალები თანაბარი ხელმისაწვდომობით სარგებლობენ ტყისა და მიწის რესურსებზე, შედეგად ვიღებთ ეკონომიკურ ზრდას, სიღარიბის შემცირებასა და ტყის მდგრადი მართვის პრაქტიკის ჩამოყალიბებას.
- *დასაქმების თვალსაზრისით*, იმ შემთხვევაში, როდესაც ქალები ძირითადად ტყის არა მერქნული პროდუქტების შეგროვებითა და ტყის მართვასთან დაკავშირებული სამეურნეო საქმიანობით არიან დაკავებული, გენდერული უთანასწორობა იზრდება და გავლენას ახდენს ეკონომიკურ შედეგებზე.

როდესაც გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება ძირითადად კონცენტრირებულია მამაკაცების ხელში და ქალები დისტანცირებულნი არიან ტყის მართვის პროცესებიდან, რაც ზღუდავს მათ უნარს გავლენა მოახდინონ პოლიტიკასა და მართვის პრაქტიკაზე. აღნიშნულის შედეგია უთანასწორო პოლიტიკა, რომელიც უგულბელყოფს ქალთა საჭიროებებსა და პრიორიტეტებს, რაც გამოიწვევს ტყის მართვის ნაკლებად ეფექტურ და მდგრად შედეგებს.

ტყის მართვის უფრო ინკლუზიური პროცესების ხელშესაწყობად, მნიშვნელოვანია სხვადასხვა პერსპექტივებისა და პრიორიტეტების გათვალისწინება, მათ შორის ქალების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

კვლევის ფარგლებში, მიმოვიხილეთ რამდენიმე ევროპული ქვეყანა, რომლებმაც განახორციელეს გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის ინიციატივები. მათ შორის აღსანიშნავია **შვედეთის** მაგალითი, რომელიც მოწინავეა სატყეო მეურნეობაში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობით. ქვეყანამ გაატარა გენდერული მეინსტრიმინგის პოლიტიკა სატყეო სექტორში და აქტიურად ახალისებს ქალთა მონაწილეობას ტყესთან დაკავშირებულ პროფესიებსა თუ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ასევე აღსანიშნავია, რომ **ფინეთმა** აღიარა გენდერული თანასწორობის მნიშვნელობა ტყის მდგრად მართვაში და გადადგა ნაბიჯები სატყეო მეურნეობაში ქალთა მონაწილეობის ხელშესაწყობად. ინიციატივები მოიცავს ტრენინგ პროგრამებს, მენტორობის შესაძლებლობებს და სატყეო ორგანიზაციებში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის ძალისხმევას.

**ნორვეგიამ** დანერგა გენდერულად მგრძნობიარე მიდგომები ტყის მართვის მიმართ, მათ შორის ინიციატივები ქალთა მონაწილეობის გაზრდის მიზნით გადაწყვეტილების მიღების პროცესში და უზრუნველყოს მათი თანაბარი ხელმისაწვდომობა ტყის რესურსებზე. მთავრობამ ასევე მხარი დაუჭირა სატყეო მეურნეობისა და ბუნებრივი რესურსების მართვის გენდერულ განზომილებებს.

რაც შეეხება **გერმანიას**, მას აქვს ინტეგრირებული გენდერული მოსაზრებები თავის სატყეო პოლიტიკასა და პროგრამებში, აქცენტი კეთდება ტყის მართვაში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობაზე და სატყეო პრაქტიკაში გენდერული პასუხისმგებლობის მიდგომის უზრუნველყოფაზე. გაწეული იყო ძალისხმევა გენდერული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად ტყის რესურსებზე ხელმისაწვდომობისა და სოფლად არსებული შესაძლებლობების შესახებ.

**ავსტრიამ** გაატარა გენდერული მეინსტრიმინგის სტრატეგიები სატყეო მეურნეობისა და ბუნებრივი რესურსების მენეჯმენტში, მათ შორის ინიციატივები სატყეო ორგანიზაციებსა და გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის მიზნით. მთავრობა ასევე მხარს უჭერს კვლევებს და ცნობიერების ამაღლებას სატყეო მეურნეობაში გენდერულ საკითხებზე.

ეს ქვეყნები აჩვენებენ სხვადასხვა მიდგომებს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით ტყის რესურსებზე ხელმისაწვდომობისას, მათ შორის პოლიტიკას, პროგრამებსა და ინიციატივებს, რომლებიც მიზნად ისახავს ქალთა მონაწილეობის გაზრდას და სატყეო მეურნეობაში გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრას. თითოეული ქვეყნის მიდგომაზე შეიძლება გავლენა იქონიოს მისმა კონკრეტულმა კონტექსტმა, კულტურულმა ნორმებმა და მმართველობის სტრუქტურებმა.

## 1.4 სახელმძღვანელოს მიზნები და შინაარსი

მუნიციპალური ტყის მართვისთვის ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის წარმოდგენილი სახელმძღვანელო ემსახურება ყოვლისმომცველი ინსტრუქციების განვითარებას რვა სამიზნე მუნიციპალიტეტისათვის - **ოზურგეთის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, თიანეთის, ახმეტის, თელავის, ყვარლისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტების** - ადგილობრივი/მუნიციპალური ტყის მენეჯმენტში ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის ჩასატარებლად.

ორგანიზაცია GEO-ს მიერ მომზადებული ანგარიშზე „ტყის მართვის შესაძლებლობების ანალიზი 8 სამიზნე მუნიციპალიტეტის მიხედვით“ დაყრდნობით, რომელიც მომზადდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის „საქართველოში ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების მხარდაჭერა (ECO.Georgia)“ მესამე კომპონენტის ფარგლებში და დაფინანსდა შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის საზოგადოების (SDC) მიერ, მუნიციპალური ტყეების მართვა საქართველოში ძალიან ადრეულ ფაზაშია (ქავთარიშვილი, 2023). დღეს საქართველოში, მუნიციპალური მმართველობის მხრივ გვაქვს მხოლოდ ორი პრაქტიკული მაგალითი. ერთი ახმეტის მუნიციპალიტეტში, რომელსაც უკვე დიდი გამოცდილება დაუგროვდა და მეორე გორის მუნიციპალიტეტში, რომელიც შედარებით ახალია. აღნიშნული პრაქტიკები მცირედით განსხვავდება.

წარმოდგენილი სახელმძღვანელო არის პროექტ ECO.Georgia-ს კომპონენტი 3-ის ნაწილი. ECO.Georgia თანადაფინანსებულია მწვანე კლიმატის ფონდის (GCF), გერმანიის

ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის, შვეიცარიის კონფედერაციის მთავრობისა და საქართველოს მთავრობის მიერ, რათა მოხდეს სატყეო სექტორის რეფორმის განხორციელება. პროექტი მიზნად ისახავს ტყის დეგრადაციის ემისიების შემცირებას ტყეების მდგრადი მართვის გზით, ასევე ენერგოეფექტურობისა და ალტერნატიული საწვავის ხელშეწყობის მიზნით, რათა შემცირდეს საწვავის შეშის მოხმარება, როგორც ტყის დეგრადაციის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორის.

კომპონენტი 3 - საარსებო შესაძლებლობები და ადგილობრივი თვითმმართველობა ტყის მართვაში - ემსახურება ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოქალაქეების შესაძლებლობების განვითარებას მონაწილეობა მიიღონ ტყის მდგრად მართვაში. ამით, სამიზნე რეგიონების თემებს შეეძლება ისარგებლონ შემოსავლის დივერსიფიცირებული შესაძლებლობებით სატყეო მეურნეობის ღირებულების ჯაჭვების გაუმჯობესებით და სატყეო ცოდნისა და უნარების უკეთესი ხელმისაწვდომობით.

სწორედ კომპონენტი 3-ის ქვეშ, ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის ინსტრუქციების განვითარება ემსახურება ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებას MFM-ში ჩართვის შესახებ. მუნიციპალური ხელისუფლება და მათი თანამშრომლები აღიჭურვებიან ცოდნით, რომელიც ხელს უწყობს არგუმენტირებული და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესს, სტანდარტული საოპერაციო პროცედურების პროცესს ტყეების დაგეგმვისა და მართვისთვის, ასევე გაზრდილ შესაძლებლობებს საზოგადოების მონაწილეობისათვის. ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის ინსტრუქციები, იქნება გადაწყვეტილების მიღების ინსტრუმენტი მუნიციპალური დონის დაინტერესებული მხარეებისთვის, რათა განსაჯონ, არის თუ არა მათთვის გონივრული და მიმზიდველი მუნიციპალიტეტისათვის ტყის მართვის უფლებებისა და ვალდებულებების აღება.

## 2. არსებული კონტექსტის მიმოხილვა

### 2.1 ადგილობრივი/მუნიციპალური ტყის მართვის არსებული პრაქტიკა

საქართველოს ტყის კოდექსი<sup>21</sup> ითვალისწინებს მუნიციპალიტეტების მიერ ტყეების მართვას, თუმცა მუნიციპალიტეტების უმრავლესობას ტყის მართვისთვის ესაჭიროება გაძლიერება შემდეგ მიმართულებებში: სტრატეგიული მიდგომა, პრაქტიკული ინსტრუმენტები, ეკონომიკური და ტექნიკური დაგეგმვა, ცნობიერება, პროფესიული უნარები და შესაძლებლობები იმისათვის, რომ აქტიურად ჩაერთონ ტყის მდგრად მართვაში. დღეს, მუნიციპალური ტყის მართვის პრაქტიკა მხოლოდ ორ, ახმეტისა და გორის მუნიციპალიტეტებში, გვხვდება. დღესდღეობით მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ მუნიციპალურ ტერიტორიებზე ჰქონდეთ მუნიციპალური ტყეები, ტყის კოდექსის თანახმად კი, 2030 წლამდე უნდა შემუშავდეს და დამტკიცდეს „ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის“ განსაზღვრის კრიტერიუმები და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემის წესი. მუნიციპალიტეტისათვის გადასაცემი ტყეები შესაძლოა მოიცავდეს იმ ტყეებსაც, რომლებსაც ამ ეტაპზე სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო მართავს (ქავთარიშვილი, 2023).

საქართველოს ტყის კოდექსი ტყის მართვასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებს აწესრიგებს. აღნიშნულის მიხედვით, საქართველოს ტყე უნდა იმართებოდეს მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად ჩამოყალიბებული სისტემის საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს ტყის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, მისი ბიომრავალფეროვნების დაცვას, ტყის ეკოლოგიური ფასეულობის გათვალისწინებით მისი ეკონომიკური პოტენციალის რაციონალურ გამოყენებას, ტყის მართვაში საზოგადოების მონაწილეობას და მისთვის ტყის რესურსების ხელმისაწვდომობას. 2020 წლის ტყის კოდექსმა მუნიციპალიტეტებს გაუჩინა შესაძლებლობა გაითვალისწინონ ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებები და მისცენ მათ ტყიდან მეტი სარგებლის მიღების საშუალება.

აღსანიშნავია, რომ ტყის კოდექსი მოიცავს მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც, „საქართველოს მთავრობას 2023 წლის 1 იანვრამდე უნდა შეემუშავებინა „ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის“ განსაზღვრის კრიტერიუმები და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემის წესი“<sup>22</sup>. ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი<sup>23</sup> ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის რესურსებს აკუთვნებს მუნიციპალიტეტებს და მათ მართვას მოიაზრებს მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებად. 2020 წლის საქართველოს ტყის კოდექსის მიხედვით, „მუნიციპალური ტყე არის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის ტყე, რომლის მიმართ მმართველობით უფლებამოსილებებს ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად ახორციელებენ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები“<sup>24</sup>.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ამჟამად საქართველოში მუნიციპალიტეტების მიერ ტყის მართვა ძირითადად რამდენიმე მუნიციპალიტეტში ხდება. ერთ-ერთი ასეთი მაგალითია ახმეტის მუნიციპალიტეტი, რომელიც ზედამხედველობს თუშეთის დაცული ლანდშაფტის (თდლ) ტყის მართვას. თდლ, რომელიც შეიქმნა 2003 წელს საქართველოს კანონით „თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლადოგეხის და ვაშლოვანის შექმნისა და მართვის შესახებ“ ახმეტის

21 საქართველოს კანონი: საქართველოს ტყის კოდექსი; 22/05/2020;

22 საქართველოს კანონი: საქართველოს ტყის კოდექსი; 22/05/2020; მუხლი 95;

23 საქართველოს ორგანული კანონი: ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი; 05/02/2014;

24 საქართველოს კანონი: საქართველოს ტყის კოდექსი; 22/05/2020; მუხლი 5;



მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის იურისდიქციაშია. 2011 წელს შეიქმნა ა(ა)იპ „თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია“. ადმინისტრაციის კომპეტენცია თდლ-ს მართვით შემოიფარგლება. თდლ 2006 წელს ახმეტის მუნიციპალიტეტს გადაეცა, ხოლო 2011 წელს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დააფუძნა ა(ა)იპი "თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია". სწორედ აღნიშნული მაგალითი იქნება გამოყენებული ხარჯ-სარგებლიანობის კონკრეტული ნაწილების განვითარებისათვის.

თდლ-ს მაგალითზე დაყრდნობით, აღსანიშნავია, რომ ა(ა)იპი "თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის" საქმიანობის მიზანს წარმოადგენს თდლ-ს უნიკალური ეკოსისტემის დაცვა განადგურებისაგან, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტის შენარჩუნება და მოვლა-პატრონობა. იგი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. მის კომპეტენციაში შედის თდლ-ს ტერიტორიაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის (მართვის ორგანოს) დავალებით ტყის აღრიცხვა, დაგეგმვა და მონიტორინგი, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში დაცულ ლანდშაფტში ნებადართული, საქართველოს კანონის „ტყის კოდექსი“ 79-ე, 80-ე, 81-ე მუხლით გათვალისწინებული ჭრის წარმოება.

კანონმდებლობის მიხედვით, ადგილობრივ მოსახლეობას აქვს მერქნული რესურსებით სარგებლობის უფლება დაცული ლანდშაფტის ტყეებში. თდლ-ს გამოცდილებაში იკითხება, რომ ხე-ტყის არაკანონიერი ჭრის შემთხვევები მნიშვნელოვნად შემცირდა კანონის აღსრულების გაძლიერებისა და ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციის გაუმჯობესების შედეგად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას არ შეუძლია აქტიური რეაგირება მოახდინოს იმ საკითხებზე, რაც დაცულ ლანდშაფტს ეხება, რადგან მისი კომპეტენცია დაცულ ლანდშაფტთან მიმართებაში მონიტორინგით და მუნიციპალიტეტისთვის ინფორმაციის მიწოდებით შემოიფარგლება. ასევე, თუშეთის დაცული ტერიტორიების სივრცულ დაგეგმვაში შეტანილი ცვლილებები ტყის გარკვეული უბნების სტატუსის შეცვლასაც მოიცავდა. ამან მრავალ ადგილას დააკმაყოფილა ადგილობრივი მოსახლეობის სასიცოცხლო მოთხოვნილებები შეშაზე და მოაგვარა კონფლიქტი ტყის რესურსებით სარგებლობასთან დაკავშირებით. თუმცა, გარკვეული გამოწვევები მაინც რჩება თდლ-ს წინაშე, მათ შორის ფინანსური თუ ტექნიკური რესურსების ნაკლებობა.

## **2.2 ტყის მართვასთან დაკავშირებული ბიზნეს პროცესების ანალიზი, საჭირო პროცესებისა და რესურსების მიმოხილვა**

ტყის მართვა გულისხმობს ტყის სასარგებლო თვისებების, ეკოლოგიური ფუნქციების შენარჩუნებასა და მის განვითარებას, ტყის რესურსების გამოყენების, ტყის დაცვის, მოვლისა და აღდგენა-გაშენების ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას. ტყის მართვის პროცესში გამოყენებული უნდა იქნას ისეთი მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფს მისი ბიომრავალფეროვნების, პროდუქტიულობის, თვითაღდგენისა და სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას.

ტყის მართვისთვის საჭირო პროცესებსა და რესურსებს საქართველოს ტყის კოდექსი განმარტავს. საქართველოში ამ ეტაპზე სახელმწიფო ტყის მართვის ორგანოა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ეროვნული სატყეო სააგენტო. მუნიციპალური ტყის მუნიციპალიტეტისთვის გადაბარების შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო ქმნის ტყის მართვის ორგანოს და ამტკიცებს მუნიციპალური ტყის მართვის გეგმას. დღეს საქართველოს ტყის მართვის პროცესში ჩართულია რამდენიმე ძირითადი საჯარო უწყება. კანონმდებლობის მიხედვით, საქართველოს ტყე შეიძლება იყოს

სახელმწიფო, მუნიციპალური ან კერძო საკუთრების:

- სახელმწიფო ტყის მართვის ორგანოა სამინისტროს **სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო**, რომლის ძირითადი მიზნებია: ტყის მოვლა და აღდგენა, ტყის ტერიტორიაზე ბიოლოგიური მრავალფეროვნების კომპონენტების მდგრადი გამოყენება. სააგენტოს ძირითადი ამოცანებია: ტყის მართვა, ტყის მოვლის და აღდგენის ღონისძიებების განხორციელება, ტყით სარგებლობის რეგულირება, ტყის ტერიტორიაზე კონტროლის (გარდა სალიცენზიო პირობებისა) განხორციელება კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში, ტყის აღრიცხვის განხორციელება.
- დაცული ტერიტორიის ფარგლებში არსებულ სახელმწიფო ტყეს მართავს **სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო**, რომლის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სახელმწიფო ნაკრძალების, ეროვნული პარკების, ბუნების ძეგლების, აღკვეთილების, დაცული ლანდშაფტების, ბიოსფერული რეზერვატების, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნების და საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიანი ტერიტორიების სისტემის მართვა. სააგენტოს მიზნებს წარმოადგენს დაცული ტერიტორიების მართვის სისტემის გაუმჯობესება, ტერიტორიული ადმინისტრაციების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვაზე კონტროლი, ახალი დაცული ტერიტორიების დაგეგმვა, შექმნა და განვითარება.
- ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფო ტყეს მართავს **ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო**.
- მუნიციპალური ტყის მართვის ორგანოს ქმნის და მუნიციპალური ტყის მართვის გეგმას ამტკიცებს **მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო**.
- საქართველოს **გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო** აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებაა, რომელიც მისთვის მინდობილ სფეროში სახელმწიფო მმართველობისა და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - **გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი** უზრუნველყოფს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის (გარდა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის ან წიაღით სარგებლობის ლიცენზიის პირობების შესრულების კონტროლისა) განხორციელებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, მის ტერიტორიულ წყლებში, კონტინენტურ შელფსა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში.

ტყის მართვის ორგანო საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს:

- ტყეთმოწყობის, ტყის დაცვის, ტყის მოვლისა და აღდგენა-გაშენების, ტყით სარგებლობის ღონისძიებებს;
- ტყის ცალკეულ ტერიტორიებთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების გამოვლენის მიზნით აფასებს და სწავლობს მათ მდგომარეობას და ქმნის მონიტორინგის შედეგად მიღებულ მონაცემთა ბაზას;
- სხვა ტყით მოსარგებლისგან მოითხოვს ტყის განადგურების თავიდან აცილებას და ისეთი ქმედების შეწყვეტას, რომელიც ტყეს აზიანებს;
- მონაწილეობს ტყეში სტიქიური მოვლენების დროს საგანგებო ღონისძიებებში;
- უზრუნველყოფს სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვას, ხანძრის საფრთხის არსებობის შემთხვევაში ინფორმაციას დაუყოვნებლივ აწვდის შესაბამის ორგანოებს და მონაწილეობს ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებში;
- მუნიციპალური ტყის მართვის ორგანო ტყის მართვის გეგმის პროექტს



დასამტკიცებლად წარუდგენს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს;

- შეიმუშავებს და ამტკიცებს წლიურ სამოქმედო გეგმას;
- მონაწილეობს ეკოლოგიური კატასტროფებით, ტყის მავნებელ-დაავადებებითა და სხვა მიზეზებით დაზიანებული ტყის აღდგენა-გაშენების ორგანიზებაში;
- ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს;
- ადგენს/გასცემს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებისთვის საჭირო დოკუმენტებს (მათ შორის, საჯარიმო ქვითარსა და სააღსრულებო ფურცელს).

გარდა ტყით სარგებლობისა, რომელიც ხორციელდება ტყით საერთო სარგებლობის ფარგლებში, შესაძლებელია განხორციელდეს ტყით სპეციალური სარგებლობაც. ამ პროცესებსაც მართავს ტყის მართვის ორგანო. ტყით სპეციალური სარგებლობის სახეებია:

- სამეურნეო ჭრით ხე-ტყის დამზადება;
- ტყის არამერქნული რესურსების, მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადება;
- პლანტაციური მეურნეობის მოწყობა;
- სასოფლო-სამეურნეო მიზნით ტყეთსარგებლობა;
- საკურორტო, რეკრეაციული, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნებით ტყეთსარგებლობა;
- თევზის მეურნეობის ან/და სამონადირეო მეურნეობის მოწყობა;
- ცხოველთა თავშესაფრისა და სანაშენის მოწყობა;
- ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობის განთავსება;
- სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო მიზნებით ტყეთსარგებლობა;
- განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობა.

ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების ვადები და გადაწყვეტილების მიმღები ორგანო შემდეგია:

- ტყით სპეციალური სარგებლობა ხორციელდება მოკლევადიანი და გრძელვადიანი ტყეთსარგებლობის ფარგლებში, რომლის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 49 წელს;
- ტყით მოკლევადიანი სპეციალური სარგებლობა შეიძლება გაიცეს არაუმეტეს 2 წლამდე ვადით;
- ტყით სპეციალურ სარგებლობაზე, მათ შორის სარგებლობის ვადაზე (მოთხოვნილი ვადის კორექტირებაზე) გადაწყვეტილებას იღებს ტყის მართვის ორგანო.
- ტყის მართვის ორგანოს უფლება აქვს გააგრძელოს ტყით სპეციალური სარგებლობის ვადა, ამ მუხლით დადგენილი ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების საერთო ვადის ფარგლებში.

საზოგადოებას უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს ტყის მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იქნას ტყის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებთა იდენტობა და კულტურა, აგრეთვე ტყის მართვის ტრადიციები. საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფციის მიხედვით, „პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, თუმცა ტყის მართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნდა მონაწილეობდეს ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის – არა ადგილობრივიც; ამასთანავე, ადგილობრივი მცხოვრებნი (კერძოდ, ქალები) ცალკე დაინტერესებულ მხარედ განიხილებიან. პროცესში ეფექტიანი მონაწილეობისათვის დაინტერესებულ მხარეებს შესაბამისი უფლებამოსილებები უნდა ჰქონდეთ. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს არაკომერციული მიზნით ტყეების ყველასათვის ხელმისაწვდომობა, მიუხედავად მათი მფლობელობის ფორმისა (სახელმწიფო, სათემო და სხვ.). აღიარებულ და მხარდაჭერილ უნდა

იქნეს ტყიან ტერიტორიებზე მოსახლე თემების იდენტურობა და კულტურა, აგრეთვე ტყით სარგებლობისა და ტყის შენარჩუნების ტრადიციული ცოდნა. ტყის რესურსების გამოყენებით მიღებული სარგებელი სამართლიანად უნდა განაწილდეს ადგილობრივ, რეგიონულ და საერთო ეროვნულ მომხმარებლებს შორის“ (სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო, 2019).

ასევე, ტყესთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილე სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის/მუნიციპალიტეტის ორგანოები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფენ ტყის მართვის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას, აგრეთვე ტყის მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობას.

ტყის მართვისთვის საჭირო ინფორმაციის (ფართობების, მარაგების, სახეობების, ლიცენზიების, ადამიანურ, ტექნიკურ და სხვა რესურსებზე (მ.შ. ზოგიერთი რესურსის, მომსახურების ღირებულება<sup>25</sup>), მოპოვება შესაძლებელია, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან ინფორმაციის გამოთხოვით. ასევე კონკრეტული სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელების ფასების დადგენა შესაძლებელია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში.

ტყის მართვის ეფექტურად განხორციელებისთვის, საჭირო ადამიანური და ტექნიკური რესურსის განსაზღვრისთვის აუცილებელია **ტყეთმომწეობის ღონისძიებების განხორციელება**, რომლის დროსაც ხდება შემდეგი მონაცემების დადგენა: ტყის საზღვრების დადგენა, მის შიდა სამეურნეო ორგანიზება და შესაბამისი ტერიტორიებისთვის კარტოგრაფიული მასალების მომზადება, ტყის მდგომარეობის, სახეობრივი შემადგენლობისა და ხნოვანებითი სტრუქტურის დადგენა, მცენარეთა გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი იშვიათი, რელიქტური, ენდემური და შეზღუდული გავრცელების არეალის მქონე სახეობების გამოვლენა, ტყის იმ უბნების დადგენა, სადაც შესაძლებელია/საჭიროა სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელება, აგრეთვე ამ ღონისძიებათა სახეების, მოცულობის ან/და განხორციელების მეთოდების განსაზღვრა, ფუნქციური დანიშნულების მიხედვით ტყის უბნებისთვის კატეგორიისა და დაცვის რეჟიმის მიკუთვნების, აგრეთვე ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების მიზანშეწონილობის განსაზღვრა, ტყეში მოსაპოვებელი შესაძლო რესურსის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება, ტყის პათოლოგიური გამოკვლევა. **ტყეთმომწეობას ახორციელებს ტყის მართვის ორგანო თავის სამოქმედო ტერიტორიაზე 10 წელიწადში ერთხელ.**

მუნიციპალური ტყეების მართვისას აუცილებელია გარკვეული რესურსების ბაზა წარმოქმნილი მრავალფეროვანი გამოწვევების გადასაჭრელად. **ფიზიკურ-ტექნიკური რესურსები**, როგორიცაა სპეციალიზებული სატყეო აღჭურვილობა (მაგ., ტრაქტორები, სახერხი საამქროები) და ყველგანმავალი მანქანები, ფუნდამენტურია ტყის მდგრადი მართვის პრაქტიკის განსახორციელებლად. ეს მოიცავს ხე-ტყის მოპოვებას, ტყის სიჯანსაღის შენარჩუნებას. უფრო მეტიც, ინფრასტრუქტურა, როგორიცაა გზები და შესაბამისი შენობები, ხელს უწყობს ეფექტურ ოპერაციებს და წვდომას ტყის ზონებში. ტექნოლოგია ასევე თამაშობს გადამწყვეტ როლს; GPS სისტემები და სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფა გვეხმარება ტყის საქმიანობის ეფექტურად და ზუსტად დაგეგმვაში, შესრულებასა და მონიტორინგში. თდლ-ს მაგალითის მიხედვით, ამჟამად თდლ-ის ადმინისტრაციას მერქნული რესურსების მოსაპოვებლად გააჩნია მხოლოდ ერთი სატყეო ტრაქტორი. შესაბამისად, არასაკმარისი ტექნიკისა და ადამიანური რესურსის სიმცირის გამო, დიდი რაოდენობის ხის მასალა რჩება ტყეში და ვერ ხერხდება მისი გამოტანა. ასევე, გამოწვევას წარმოადგენს ადგილზე მოპოვებული სამასალე მორის გადამუშავება, რაც ნაწილობრივ გადაიჭრა დონორული

25 [იხ. საქართველოს მთავრობის N221, ტყით სარგებლობის წესის შესახებ](#) დებულება;

დაფინანსებით სახერხი დანადგარის შეძენის და მისი მომსახურების ფასიანი სერვისის დანერგვით. აღსანიშნავია, რომ **ფინანსური რესურსები** საჭიროა არა მხოლოდ აღჭურვილობისა და პერსონალისთვის, არამედ პერსონალის მუდმივი განათლებისა და ტრენინგისთვის, ასევე საზოგადოების ჩართულობისა და გარემოსდაცვითი რეგულაციების დაცვისთვის.

**ტყის მართვაში გადამწყვეტ როლს ასრულებს ადამიანური რესურსიც**, რადგან მენეჯმენტის გეგმების ეფექტიანად განსახორციელებლად აუცილებელია სპეციალიზებული ცოდნის მქონე პერსონალი, რომელიც აღჭურვილია ისეთი ტექნიკით, როგორიცაა მარტივი ხელის ხელსაწყოები, ისე დახვეწილი მექანიკური აღჭურვილობა. საქართველოს ტყის კოდექსი მოიცავს გარკვეულ საკანონმდებლო ვალდებულებებს ადამიანური რესურსების მიმართულებითაც. კოდექსის მიხედვით, ტყის მართვის ორგანომ უნდა უზრუნველყოს ტყის მართვაში მეტყევისა და სატყეო საქმის სპეციალისტის კვალიფიკაციის მქონე პირების სავალდებულო მონაწილეობა<sup>26</sup>. ასევე, ტყის მართვის ორგანომ, საქართველოს ტყის მდგრადი მართვის პრინციპების განხორციელების მიზნით, 2025 წლის 1 იანვრამდე ყოველწლიურად უნდა უზრუნველყოს ტყის კოდექსის 83-ე მუხლით განსაზღვრულ პირთა რაოდენობის ზრდა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას ტყეში არაუმეტეს 3500 ჰა-ზე არანაკლებ 1 პირის მიერ უფლებამოსილების განხორციელება. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ფართობის სპეციფიკიდან გამომდინარე (მაგ. რამხელა არეალზეა განფენილი, მისადგომად რამდენად ადვილია, რა რაოდენობის მოსახლეობა ცხოვრობს მიმდებარე ტერიტორიაზე და სხვა), შესაძლებელია აღნიშნულ 3500 ჰა ფართობისთვის საჭირო გახდეს 1-ზე მეტი პირის გათვალისწინება.

ადამიანური რესურსების კუთხით თუ განვიხილავთ *თდლ-ის ადმინისტრაციის მაგალითს*, 2011 წელს ის 6 ადამიანს ასაქმებდა, დღეისათვის საშტატო ნუსხა 17 ადამიანს მოიცავს. ადამიანური რესურსების მიმართულებით, თდლ გარკვეული გამოწვევების წინაშეა:

- რეინჯერთა არასაკმარისი კორპუსი განიცდის პატრულირებისა და ტერიტორიის ეფექტური დაცვისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების, რესურსებისა და აღჭურვილობის ნაკლებობას. გარდა ამისა იკვეთება იურისტისა და გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების GIS სპეციალისტის ადგილზე მუშაობის აუცილებლობა. თდლ-ის ადმინისტრაციას სჭირდება კადრების სწავლების გეგმა, რომელსაც საფუძველად დაედება მათი ხედვა, თუ რომელი და რამდენი სპეციალისტის დანაკლისს განიცდის ორგანიზაცია საქმიანობის უფრო მეტად ეფექტურად შესასრულებლად.
- სამოვრების მართვისა და მონიტორინგის პროცესში აუცილებელია კვალიფიციური სპეციალისტების არსებობა, რომელთაც ექნებათ შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები ეფექტურად განახორციელონ სამოვრების მართვა. გარდა ამისა, მათ პერიოდულად ადგილზე უნდა შეამოწმონ სიტუაცია და განახორციელონ მცენარეული საფარის მონიტორინგი.
- დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების მხრიდან სამოვრების მართვის გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია სისტემაში (სასურველია ცენტრალური აპარატის დონეზე) მოვების პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი სპეციალური სამსახურის შექმნა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება როგორც სამოვრების მართვაზე, ისე მონიტორინგზე.
- შერჩეული პერსონალის შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, საჭიროა შესაბამისი სატრენინგო პროგრამების განხორციელება, რომლებმაც უნდა დაფარონ სამოვრების მართვისა და მდგომარეობის შეფასების, ასევე სამოვრების მართვის ინსტრუმენტის გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავების საკითხები.

<sup>26</sup> საქართველოს კანონი: საქართველოს ტყის კოდექსი; 22/05/2020; მუხლი 83;


## 2.3 გენდერული როლები ტყის მენეჯმენტში- საქართველოს კონტექსტის მიმოხილვა

საქართველოში არსებული საკანონმდებლო ბაზა და საერთაშორისო ხელშეკრულებები სახელმწიფოს ავალდებულებს შეიმუშავოს ისეთი პოლიტიკა და კანონმდებლობა, რომელიც იქნება არადისკრიმინაციული და უზრუნველყოფს ყველასთვის თანასწორ და ხელმისაწვდომ გარემოს. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი<sup>27</sup> ადგენს, რომ არავინ შეიძლება იყოს დისკრიმინირებული. ეს არის ავტონომიური უფლება, რომელიც შეიძლება ეხებოდეს სახელმწიფოს მიერ რეგულირებულ ნებისმიერ სფეროს.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის<sup>28</sup> (CEDAW-ს) მე-14 მუხლი, რომელიც შეეხება სოფლად მცხოვრები ქალების უფლებებს, ხაზს უსვამს ქალთა მნიშვნელოვან როლს რომელსაც ისინი ასრულებენ ოჯახების ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფაში, მათ შორის არასასაქონლო დარგებში. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შიდა კანონმდებლობის საფუძველზე სახელმწიფო ვალდებულია შექმნას ქალთა უფლებების რეალიზაციისთვის ეფექტური პოლიტიკა და სახელმწიფო პროგრამები, გენდერულ უთანასწორობას კვლავ ვაწყდებით ისეთ სექტორებში, როგორიცაა სატყეო მეურნეობა, ენერგეტიკა, ტრანსპორტი, მშენებლობა და ინფრასტრუქტურა, სადაც, როგორც წესი, არ გროვდება გენდერული ნიშნით ჩაშლილი მონაცემები. სამწუხაროდ, გენდერულად ბრმა პოლიტიკა სატყეო სექტორში კვლავაც გრძელდება და ქალთა წვლილი დაუფასებელია, რაც აფერხებს ქალთა მონაწილეობას სატყეო პოლიტიკის დაგეგმვასა და კლიმატის ცვლილების მართვაში.<sup>29</sup>

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის (2023) მიხედვით, საქართველო 146 ქვეყანას შორის 76-ე ადგილზეა 0,708 ქულით. 2022 წლის მონაცემებით, ქალები შეადგენენ საქართველოს 3,7 მილიონიანი მოსახლეობის 52 პროცენტს, და წარმოადგენენ უმრავლესობას.<sup>30</sup> გარდა ამისა, საქართველოში არ ხდება სქესის მიხედვით ისეთი მონაცემების აღწერა, როგორიცაა სატყეო სექტორში ქალთა დასაქმების, სატყეო საწარმოების შემოსავლებისა და საკუთრების შესახებ ინფორმაცია. მხოლოდ ხელმისაწვდომი ზოგადი ინფორმაციის საფუძველზე შეგვიძლია ვისჯელოთ ტყის მართვაში გენდერული მეინსტრიმინგის შესახებ.

**ცხრილი 1: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისა და საქართველოს ეროვნული სატყეო სააგენტოს ხელმძღვანელ თანამდებობებზე დასაქმებულთა რაოდენობა**



<sup>27</sup> საქართველოს კონსტიტუცია

<sup>28</sup> ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია

<sup>29</sup> კვლევა გენდერული მეინსტრიმინგი ტყის მართვაში. DEPA Consulting for GIZ, 2024

<sup>30</sup> იქვე

წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქალები ნაკლებად არიან დასაქმებულნი მენეჯერულ პოზიციებზე გარემოსდაცვით და სატყეო სექტორში.

საინტერესო შედეგები აქვს გენდერული მენისტრიმინგის კვლევას<sup>31</sup> ახმეტის მუნიციპალიტეტის მაგალითზე, რომლის მიხედვითაც გენდერული თვალსაზრისით კვლევის ძირითადი მიგნებებია:

- პანკისის სოფლებში მცხოვრები ქალები აღიქვამენ, რომ მოსახლეობა ტყეზეა დამოკიდებული, მაგრამ ამას ყოველდღიურ ცხოვრებაში ვერ აცნობიერებენ. ისინი ტყეს უპირველესად სარგებლობის თვალსაზრისით უყურებენ.
- მუნიციპალიტეტში მცხოვრები კაცები და ქალები მონაწილეობენ ტყიდან ხე-ტყის და არამერქნული რესურსების შეგროვებაში. მამაკაცები ძირითადად ეწევიან ხე-ტყის შეგროვებას სამშენებლო და საწვავი დანიშნულებით.
- ქალები უფრო აქტიურად არიან ჩართულნი არამერქნული ტყის რესურსების შეგროვებაში. კერძოდ, ქალები აგროვებენ სოკოს, ვარდის, ჟოლოს, მაცვლის, მოცვის, კენკრის, სხვადასხვა ბალახისა და ხის ფოთლებს სამკურნალო მიზნებისთვის.
- პანკისის საოჯახო სასტუმროების მენეჯერები უმეტესად ქალები არიან, ისინი სტუმრებს ძირითადად ტყის პროდუქტებით უმასპინძლებიან.
- ქალები არიან ასევე ჩართული ტყის პროდუქტების ყიდვა-გაყიდვაში.
- ქალები მეწარმეობის დაწყებისას რამდენიმე გამოწვევის წინაშე დგანან: მათ არ აქვთ საწყისი დაფინანსება და დაბალია ფინანსური ცოდნა. ბიზნესის დაწყების ან საგრანტო პროგრამებში მონაწილეობის წინაპირობა ხშირად მოიცავს მიწის საკუთრებას, რაც რთულია, რადგან ქალები იშვიათად ფლობენ მიწას.<sup>32</sup>

ახმეტის მუნიციპალიტეტის მაგალითზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქალების როლი საკმაოდ მნიშვნელოვანია ტყის რესურსების გამოყენებაში თუმცა, ისინი ნაკლებად არიან ჩართულები გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც ნაკლებად ეფექტურს ქმნის ტყის მენეჯმენტს ადგილობრივ დონეზე.

<sup>31</sup> Gender Mainstreaming in Sustainable Forest Management Plans. DEPA Consulting for GIZ, 2024

<sup>32</sup> იქვე



### 3. მზადება ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზისთვის

#### 3.1 არსებული საკანონმდებლო ბაზა და ხელმისაწვდომი ინფორმაცია

ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის (CBA) ინსტრუმენტის გამოყენება ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს თამაშობს მუნიციპალიტეტებისათვის იმ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებაში, სურთ თუ არა მუნიციპალური ტყის მართვის პასუხისმგებლობის აღება. CBA მუნიციპალიტეტებს საშუალებას მისცემს რიცხობრივ გამოსახულებაში შეაფასონ გადაწყვეტილების მიზნები.

საქართველოს ლოკალურ კონტექსტზე მორგებული CBA-ის ჩასატარებლად აუცილებელია გავითვალისწინოთ ის საკანონმდებლო ბაზა, რომელიც დღეს ქვეყანაში მოქმედებს ტყის მართვის მიმართულებით. სამართლებრივ ჩარჩოებთან შესაბამისობა ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზს მყარ საფუძველს მისცემს ადგილობრივი კონტექსტის ინტეგრაციისთვის. საქართველოში მოქმედ ტყის კოდექსში<sup>33</sup> ხაზგასმულია, რომ საქართველოს ტყე უნდა იმართებოდეს მდგრადი მართვის პრინციპების შესაბამისად, ტყის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების გათვალისწინებით. კანონშივე იკითხება ყველა ის პრინციპი, რომლებსაც საქართველოს ტყის მდგრადი მართვა უნდა ემყარებოდეს. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ტყის მდგრადი მართვის შეფასება და ანგარიშგება ხორციელდება „ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შესახებ“ დებულებით განსაზღვრული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების საფუძველზე, რომლებიც ეფუძნება მდგრადი განვითარების პრინციპებს და ევროპის ტყეების დაცვის მინისტრთა კონფერენციის („ევროპის ტყე“) მიერ მიღებულ „ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებსა და ინდიკატორებს“<sup>34</sup>. სწორედ აღნიშნული ინფორმაციის ანალიზი შესაძლებელია გახდეს CBA-ისთვის ხარჯებისა და სარგებლის იდენტიფიცირების საფუძველი ეკოლოგიურ, ეკონომიკურ თუ სოციალურ კატეგორიებში.

საქართველოს ტყის კოდექსის თანახმად, „მუნიციპალური ტყე არის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის ტყე, რომლის მიმართ მმართველობით უფლებამოსილებებს ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად ახორციელებენ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები“. შესაბამისად, მუნიციპალური ტყის მართვის პრაქტიკის სამიზნე მუნიციპალიტეტებში დანერგვით, მუნიციპალიტეტი საკუთარ თავზე იღებს მუნიციპალურ ტყის მართვასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და სარგებელს, რომლებიც აუცილებლად უნდა აისახოს CBA-შიც. რა თქმა უნდა, პირველ ეტაპზე მუნიციპალიტეტები ვერ შეძლებენ სახელმწიფო დაფინანსების გარეშე ამ ტვირთის აღებას და შესაბამისად, სავარაუდოა, რომ სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს ითამაშებს დაფინანსების ნაწილში.

<sup>33</sup> საქართველოს კანონი: საქართველოს ტყის კოდექსი; 22/05/2020; მუხლი 4 და მუხლი 5;

<sup>34</sup> საქართველოს მთავრობის დადგენილება №231; 2022 წლის 2 მაისი; საქართველოს ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე;

ასევე, აღსანიშნავია, რომ ტყის კოდექსის 20<sup>35</sup> და 21 მუხლები განიხილავს მუნიციპალიტეტებისა და ტყის მართვის ორგანოს კომპეტენციას ტყის მართვის სფეროში. ამ მუხლების მიხედვით, მუნიციპალური ტყის მართვის სფეროში მუნიციპალიტეტის ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება:

**მუხლი 20: მუნიციპალიტეტების კომპეტენცია**

- ა) მუნიციპალური ტყის მართვის ორგანოს შექმნა;
- ბ) ტყის დაცვის, მოვლის, აღდგენა-გაშენებისა და ტყითსარგებლობის ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;
- გ) უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობით ტყის დაცვის, მოვლის, აღდგენა-გაშენებისა და ტყითსარგებლობის ადგილობრივი პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა;
- დ) ეკოლოგიური კატასტროფებით, ტყის მავნებელ-დაავადებებითა და სხვა მიზეზებით დაზიანებული ტყის აღდგენა-გაშენების ორგანიზებაში მონაწილეობა;
- ე) ტყეში სტიქიური მოვლენების დროს საგანგებო ღონისძიებების განხორციელებაში მონაწილეობა;
- ვ) უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოსთვის მუნიციპალური ტყის საზღვრების კორექტირების შესახებ წინადადების წარდგენა;
- ზ) მუნიციპალური ტყის მართვის გეგმის დამტკიცება;
- თ) ამ კოდექსით დადგენილი წესით მუნიციპალური ტყის ტერიტორიაზე ტყითსარგებლობის განსახორციელებლად (გარდა იმ საქმიანობისა, რომელსაც ახორციელებს მხოლოდ ტყის მართვის ორგანო) შესაბამისი სანებართვო დოკუმენტის გაცემა და ხელშეკრულების დადება;
- ი) საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში უკანონო ტყითსარგებლობის ფაქტების აღკვეთა და ამ ფაქტების შესახებ შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოებისთვის შეტყობინება;
- კ) საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

დაინტერესებულ მხარეებთან ჩაღრმავებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით, ხაზგასასმელია, რომ მუნიციპალური ტყის მართვის პრაქტიკაში რეალიზაციის შემთხვევაში მოსალოდნელია მნიშვნელოვანი ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური სარგებლის გაზრდა (ქავთარიშვილი, 2023). იმ პოტენციალის გამოყენება რაც გააჩნია საქართველოს ტყეებს, მოიტანს მნიშვნელოვან ფინანსურ სარგებელს, რომელიც გამოყენებული იქნება პირველ რიგში ტყეების ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისთვის, რაც თავისთავად გაზრდის მის დაცვით, რეკრეაციულ, პირდაპირი და არაპირდაპირი სარგებლობის პოტენციალს. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალურ ტყეებში შესაძლოა პირდაპირი სარგებლობის სახეები მუნიციპალიტეტისთვის ტყის კოდექსშივე იკითხება და შეგვიძლია შემდეგ კატეგორიებად დავყოთ:

- სამეურნეო ჭრით ხე-ტყის დამზადება (მ.შ.: საშეშე მერქნის დამზადება, ნაბელი მეურნეობა, ბრიკეტის დამზადება და სხვა);
- ტყის არამერქნული რესურსების, მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადება (სამკურნალო მცენარეები, ტყის კენკრა, სოკო, ხის თესლები და სხვა);
- სანერგე მეურნეობის მოწყობა (ტყის კულტურების, პლანტაციის, ხილ-კენკროვნების და დეკორატიული ნერგების გამოყვანა, კალმის დამზადება და სხვა);
- პლანტაციური მეურნეობის მოწყობა (სამასალე და საშეშე მერქნის, ბოძების, ნაყოფის მისაღებად);
- სასოფლო-სამეურნეო მიზნით ტყითსარგებლობა (სახნავი, სათიბი);
- საკურორტო-რეკრეაციული, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი (კემპინგი, გლემპინგი, კოტეჯები, ზიპლაინი, გადასახედების მოწყობა, ველო ბილიკები, ოფროუდი, კლდეზე ცოცვა, ფესტივალების მოწყობა და სხვა);
- თევზის მეურნეობის მოწყობა (თევზის რეალიზაცია, სპორტული თევზაობა და სხვა);

35 საქართველოს კანონი: საქართველოს ტყის კოდექსი: 22/05/2020; მუხლი 20 და მუხლი 21;

- საფუტკრე მეურნეობა;
- სამონადირეო მეურნეობის მოწყობა;
- ცხოველთა თავშესაფრისა და სანაშენის მოწყობა;
- ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობის განთავსება;
- სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო მიზნებით ტყითსარგებლობა;
- განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობა.

გარდა პირდაპირი თუ ირიბი სარგებლისა, მნიშვნელოვანია ხარჯების იდენტიფიცირებაც, რისი განხორციელებაც შესაძლებელია საკანონმდებლო ბაზისა და სხვადასხვა ორგანიზაციის ანგარიშების საფუძველზე. მაგალითად, ორგანიზაცია GEO-ს მიერ მომზადებული ანგარიშის „ტყის მართვის შესაძლებლობების ანალიზი 8 სამიზნე მუნიციპალიტეტის მიხედვით“ მიხედვით (ქავთარიშვილი, 2023), შესაძლებელია სწორედ სამიზნე მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების პერსპექტივიდან გაანალიზებული მუნიციპალური ტყის მართვასთან დაკავშირებული ხარჯებისა და სარგებლის იდენტიფიცირება. მნიშვნელოვანია, რომ სწორედ ამ დოკუმენტზე დაყრდნობით შესაძლებელია ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ მართული, თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის მიერ ტყის მართვის პროცესის სპეციფიკის, ადმინისტრაციის სტრუქტურისა და ადამიანური და ფინანსური რესურსების აღქმა და გაანალიზება.

ზემოთ განხილული ინფორმაციის საფუძველზე, 8 სამიზნე მუნიციპალიტეტისათვის, მუნიციპალური ტყის მართვის CBA-ისათვის გამოსაყენებელი საკანონმდებლო ბაზის, ხელმისაწვდომი ანგარიშებისა და მონაცემების პირველადი სია შეგვიძლია შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

1. საქართველოს ტყის კოდექსი; 2020
2. საქართველოს მთავრობის №231-ე დადგენილება ; საქართველოს ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შესახებ დებულება;
3. საქართველოს მთავრობის №221-ე დადგენილება ; ტყითსარგებლობის წესის შესახებ დებულება;
4. საქართველოს მთავრობის №383-ე დადგენილება ; ტყის დაცვის, აღდგენისა და მოვლის წესის შესახებ დებულება;
5. საქართველოს მთავრობის №427-ე დადგენილება ; საქართველოს ტყის აღრიცხვის სისტემის, კატეგორიზაციისა და მონიტორინგის წესის შესახებ დებულება;
6. საქართველოს მთავრობის №496-ე დადგენილება ; ტყის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების/შეცვლის შესახებ დებულება;
7. ორგანიზაცია GEO; „ტყის მართვის შესაძლებლობების ანალიზი 8 სამიზნე მუნიციპალიტეტის მიხედვით“ დაყრდნობით (ქავთარიშვილი, 2023);
8. სამიზნე მუნიციპალიტეტების ბიუჯეტები და მუნიციპალიტეტების საკრებულოს დადგენილებები;
9. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის, ეროვნული სატყეო სააგენტოს, დაცული ტერიტორიების სააგენტოს, გარემოს ეროვნული სააგენტოს ანგარიშები და სტატისტიკური მონაცემები.



### 3.2 ეკონომიკასა და გარემოზე გავლენა საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით

მუნიციპალური და მდგრადი ტყის მართვას აქვს მნიშვნელოვანი ეკონომიკური გავლენა მუნიციპალიტეტებზე. საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე შეგვიძლია აღნიშნული გავლენები რამდენიმე ძირითად ჯგუფში გადანაწილდეს (იხ. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი).

*ცხრილი 2: მუნიციპალური და მდგრადი ტყის მართვის შედეგების ეკონომიკური გავლენა საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით.*

N	გავლენის შინაარსი	წყარო
<b>მოკლევადიანი გავლენა (5-10 წელი)</b>		
1	<b>სამუშაო ადგილების შექმნა და ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერება:</b> ტყის მდგრადი მართვის პრაქტიკის დანერგვამ შეიძლება შექმნას პირდაპირი დასაქმების შესაძლებლობები ისეთ საქმიანობაში, როგორიცაა ტყის პროდუქტების დარგვა, მოვლა, მოსავლის მიღება და გადამამუშავება. მაგალითად, კოლუმბიაში, სათემო სატყეო პროექტებმა შექმნა სამუშაო ადგილები და მხარი დაუჭირა ადგილობრივ ეკონომიკას შემოსავლის მომტანი კომპანიებისა და ტყის პროდუქტების ბაზრის შესაძლებლობების შემუშავებით. მაგალითად, კოლუმბიაში პროექტის საწყის ფაზებში შეიქმნა 66 პირდაპირი სამუშაო ადგილი, რომლითაც უშუალოდ ისარგებლა 249 ოჯახმა.	(UN, 2019)
2	<b>გაზრდილი შემოსავალი ტყის პროდუქტებიდან:</b> სწორად მართულ ტყეებს შეუძლიათ ხე-ტყისა და არამერქნული პროდუქტების მდგრადი წარმოების გაუმჯობესება, რაც გამოიწვევს მუნიციპალური შემოსავლების გაზრდას ამ პროდუქტების გაყიდვიდან.	(Forest Stewardship Council, 2023)
<b>გრძელვადიანი გავლენა (40-50 წელი):</b>		
3	<b>მდგრადი ეკონომიკური ზრდა:</b> გრძელვადიან პერსპექტივაში, მდგრადად მართული ტყეები ხელს უწყობს მდგრად ეკონომიკურ ზრდას ტყის რესურსების უწყვეტი მიწოდების უზრუნველსაყოფად. ეს მდგრადობა იზიდავს ინვესტიციებს და ზრდის მუნიციპალიტეტების ეკონომიკურ მდგრადობას. ეკონომიკური სარგებელი მოიცავს სტაბილურ შემოსავლებს ხე-ტყისგან, დასვენებისა და ტურიზმიდან.	(Forest Management: Planning, Decision Making and Implementation)
4	<b>გაძლიერებული ეკოსისტემური სერვისები:</b> ტყეები უზრუნველყოფენ მნიშვნელოვან ეკოსისტემურ სერვისებს, როგორიცაა წყლის რეგულირება, ნიადაგის დაცვა და ნახშირბადის სეკვესტრი. ეს სერვისები ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობას და ამცირებს გარემოს დეგრადაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რაც გრძელვადიან ეკონომიკურ სარგებელს წარმოადგენს მუნიციპალიტეტებისთვის.	(Forest Stewardship Council, 2023)

პროექტი ECO.Georgia მიზნად ისახავს სათბური აირების შემცირებას საქართველოს ტყეების მდგრადი მართვისა და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების გზით, რათა შემცირდეს მოთხოვნა სათბო შემაზე. საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, მუნიციპალურმა ტყის მართვამ მართლაც შეიძლება გამოიწვიოს გარემოსა და ეკოლოგიაზე მნიშვნელოვანი დადებითი ზემოქმედება, მათ შორის ჰაბიტატის აღდგენა და დაბინძურების შემცირება. ამ სარგებლისთვის ფულადი ღირებულებების მინიჭება ხშირად მოიცავს ისეთ მეთოდებს, როგორიცაა სარგებლის გადამხდის მეთოდი ან გარემოსდაცვითი ზიანის თავიდან აცილების ღირებულების შეფასება (Tietenberg & Lewis, 2016). ეს მიდგომები ხელს უწყობს პროექტის მიერ შენარჩუნებული ან გაუმჯობესებული ბუნებრივი აქტივებისა და ეკოსისტემური სერვისების არსებითი ღირებულების რაოდენობრივ განსაზღვრას. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ამ მეთოდების გამოყენება შეზღუდულია, თუ რაიმე კონკრეტული კვლევის ფარგლებში, კონკრეტული ქვეყნის კონტექსტისათვის, არ არსებობს რაოდენობრივი მონაცემები.

სწორედ სტატისტიკაზე მწირი ხელმისაწვდომობისა და ხშირად რაოდენობრივი მონაცემების არარსებობის გამო, მიმართავენ საერთაშორისო დონეზე არსებული აკადემიური თუ არა აკადემიური კვლევების მონაცემებისა და სხვა ქვეყნების გამოცდილების ანალიზს. აკადემიურ ლიტერატურაზე დაყრდნობით, დეცენტრალიზებული ტყის მენეჯმენტი და ტყის მდგრადი მართვის პრაქტიკა იძლევა მთელ რიგ გარემოზე ზემოქმედებას, რაც შეიძლება პოტენციურად რაოდენობრივად განისაზღვროს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ ნაწილში უმჯობესია საქართველოს მსგავსი საკანონმდებლო მოწყობისა და ეკონომიკური განვითარების ქვეყნების გამოცდილების გამოყენება. საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ დეცენტრალიზებულ ტყის მართვას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა სხვადასხვა გარემოსდაცვით ასპექტებზე, დაწყებული ნახშირბადის სეკვესტრიდან დამთავრებული წვიმის წყლის მართვით. ქვემოთ მოცემულია სწორედ ამ გარემოზე ზემოქმედების ჩამონათვალი პოტენციური შედეგების საილუსტრაციოდ:

*ცხრილი 3: მუნიციპალური და მდგრადი ტყის მართვის შედეგების გარემოზე გავლენა საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით.*

N	გარემოზე გავლენის შინაარსი	წყარო
1	შვედეთის მაგალითზე დაყრდნობით, ინტენსიური ტყის მენეჯმენტის შედეგად, საშუალო მერქნის მოპოვება იზრდება მცირედით პირველი 40-50 წლის განმავლობაში და ზრდა ორმაგდება 50 წლის შემდეგ.	(Brännlund, Carlén, Lundgren, & Marklund, 2012)
2	შვედეთის მაგალითზე დაყრდნობით, ინტენსიური ტყის მენეჯმენტის შედეგად, ბიომასის მარაგები იზრდება საკმაოდ სწრაფად და მაქსიმუმს აღწევს დაახლოებით 2080 წელს.	(Brännlund, Carlén, Lundgren, & Marklund, 2012)
3	ფილიპინების მაგალითზე დაყრდნობით, ტყის მენეჯმენტის დეცენტრალიზაციამ გამოიწვია: <ul style="list-style-type: none"> <li>• ბიორავალფეროვნების დაცვის გაძლიერება</li> <li>• ნიადაგისა (ნიადაგის ეროზია შემცირდა 98%-ით) და წყლის რესურსების კონსერვაციის გაზრდა (ზედაპირული ჩამონადენი 15%-ით შემცირდა პირველ წელს და 31%-ით მეორე წელს)</li> <li>• ნახშირბადის სეკვესტრაცია</li> </ul>	(Lasco & Pulhin, 2006)
4	ინდონეზიაში ჩატარებულმა კვლევამ შეისწავლა ტყის მართვის სერტიფიცირების / ახალი მართვის პრაქტიკის შემოღების სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ზემოქმედება. აღნიშნული გავლენას მოახდინა ტყეებზე ზემოქმედების შემცირებული ჭრის და სუფთა წყლისა და ბიომრავალფეროვნებისთვის მნიშვნელოვანი დაცული ტერიტორიების შექმნის გზით.	(Miteva, Loucks, & Pattanayak, 2015)
5	მეტა ანალიზზე დაყრდნობით, სათემო ტყის მენეჯმენტი (არაა იგივე რაც მუნიციპალური ტყის მენეჯმენტი) ტყის მართვის ორი ერთ-ერთი ინტერვენციაა, რომლებსაც აქვთ შემდეგი დადებითი მაღალი გავლენა გარემოზე: ტყის მდგომარეობის გაუმჯობესება; ბიომასისა და ნახშიროჟანგის რაოდენობებზე, წყლის ხარისხზე.	(Girolami, 2019)

გარემოზე ზეგავლენის კონტექსტი შესაძლებელია განვიხილოთ შემის სათბობად მოხმარების დადებითი გავლენა შემის სხვადასხვა ტიპის ღუმელში წვისას გამოყოფილი მავნე ნივთიერებების შემცირების შესახებ. ორგანიზაცია GEO-ს მიერ მომზადებული ანგარიშის მიხედვით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლების განცხადებით, ბოლო წლებში გაზიფიცირების პროცესმა შედარებით შეამცირა ტყის ჭრა საშუალო მერქნის მოპოვების მიზნით, რადგან ზაფხულში მოსახლეობა გაზს მოიხმარს საჭმლის მოსამზადებლად და სხვა საჭიროებებისათვის. შესაბამისად, აქტიური გაზიფიცირების პროცესი გარემოზე ზეგავლენის მიმართულებით შეგვიძლია დადებითად წარმოვადგინოთ. ორგანიზაცია GEO-ს მიერ მომზადებული ანგარიშის მიხედვით, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები თვლიან, რომ ტყის მართვის დეცენტრალიზაცია გამოიწვევს

ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერებას სხვა მიმართულებებითაც. მაგალითად, ტყის მართვის გამოცდილება მუნიციპალიტეტს გაუადვილებს წყლის რესურსების მართვასაც და ტყის მოვლა უფრო პრიორიტეტული იქნება, შესაბამისად აღნიშნული შესაძლებელია ირიბ გავლენაში იყოს გათვალისწინებული.

რადგანაც საერთაშორისო კვლევებზე დაყრდნობით და ადგილობრივად ხელმისაწვდომი მონაცემების საფუძველზე გარემოზე გავლენების მონეტიზებაც შეზღუდულია საქართველოს მსგავსი ქვეყნების მაგალითზე, მაშინ შედარებით თეორიულ მაგალითებზე დაყრდნობით შესაძლებელია **ხარისხობრივად შეფასდეს** გავლენის მიმართულება მუნიციპალური ტყის მართვის დანერგვის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში არსებული მდგომარეობა, სტატუს-ქვო, უდარდება ახალი მოწყობის შედეგებს ხარისხობრივად. გავლენის მიმართულება ზუსტდება ძირითადი ჩართული მხარეებისა და სფეროს ექსპერტების მოსაზრებებზე დაფუძნებით, ხარისხობრივი ანალიზის გამყარება შესაძლებელია ასევე ყველა იმ რესურსებითაც და კანონებითაც, რომლებიც წინა თავშია მოყვანილი და ჩამოთვლილი.

## 4. ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის ჩატარება

### 4.1 სარგებლისა და ხარჯების იდენტიფიცირება და რაოდენობრივი მონაცემების წყაროები

ამ ქვეთავში ყურადღება გამახვილებულია საქართველოს მუნიციპალიტეტებზე ტყის მართვის პასუხისმგებლობის გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯებისა და სარგებლის იდენტიფიცირებისა და კატეგორიზაციის გადამწყვეტ პროცესზე. მუნიციპალური ტყის მენეჯმენტის შესწავლისას აუცილებელია გამოვყოთ და შევაფასოთ მხოლოდ ის ხარჯები და სარგებელი, რომლებიც უშუალოდ ეხება მენეჯმენტის ამ კონკრეტულ საქმიანობას, სხვა მუნიციპალური ფუნქციების გამოკლებით. წინა ქვეთავში მოცემულ წყაროებსა და საკანონმდებლო ბაზაზე დაყრდნობით, შესაძლებელია იდენტიფიცირდეს ის პირდაპირი სარგებელი და ხარჯები, რაც უკავშირდება მუნიციპალიტეტების მიერ ტყის მართვას. **აუცილებელია ხაზი გაესვას იმ ფაქტს, რომ თითოეული ხარჯი და სარგებელი, რომელიც CBA-ში აისახება უნდა ეხებოდეს მხოლოდ ტყის მართვას და არა მუნიციპალიტეტის სხვა აქტივობებს.** მნიშვნელოვანია, რომ დათვლისას გამოვიყენოთ შედარება საწყის მდგომარეობასთან. არსებულ ტყის მართვის მოწყობას მივიჩნევთ საწყის მდგომარეობად და CBA მოდელში ვითვლით მხოლოდ დამატებით (incremental) ხარჯებსა და სარგებელს, რომელიც კონკრეტულად მუნიციპალიტეტის მიერ ტყის მართვის გადმოზარების პროცესში წარმოიშვება.

ქვემოთ წარმოდგენილია ცხრილების სახით ხარჯებისა და სარგებლის ძირითადი კატეგორიები, რომელთა რაოდენობრივი განსაზღვრაც შესაძლებელია მუნიციპალიტეტების მიერ. თითოეული კატეგორიისთვის ცხრილში მოცემულია განმარტება.

მუნიციპალური ბიუჯეტების დადგენილებების მიხედვით, უმეტესწილად მათი ბიუჯეტის შემოსავლები მოიცავს საკუთარ შემოსავლებს და ბიუჯეტის წილს. საკუთარი შემოსავლები აერთიანებს გადასახადებს, გრანტებს და სხვა შემოსავლებს. აღნიშნული კატეგორიები მნიშვნელოვანია ჩაიშალოს უფრო კონკრეტულ ჯგუფებად და მუნიციპალური ტყის მართვის ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზისათვის გამოიყოს კონკრეტულად ის ნაწილები ფულად გამოსახულებაში, რომელიც პირდაპირ ამ პროცესს უკავშირდება. ასევე მნიშვნელოვანია

სარგებლის კატეგორიებში აისახოს ტყის სპეციალური სარგებლობის განზომილებაც. აღნიშნული დეტალურად განხილულია ტყის კოდექსში და წარმოადგენს მუნიციპალიტეტების მიერ დამატებითი, დივერსიფიცირებული შემოსავლების მიღების შესაძლო წყაროებს. მონაცემების წყაროები თითოეული კატეგორიისთვის უმეტესწილად არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, სახელმწიფო ტყის მართვის ორგანოების – სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასური. ასევე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და თავად მუნიციპალიტეტის ხელთ არსებული ფინანსური მონაცემები. იმ მონაცემების გამოთხოვა, რაც საჯაროდ არაა ხელმისაწვდომი, შესაძლებელია მონაცემების გამოთხოვის საფუძველზე<sup>3637</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტის ტყის რესურსს აქვს განსხვავებული მახასიათებლები, შესაბამისად მისი გამოყენება და ტყითსარგებლობა განსხვავებული იქნება თითოეული მუნიციპალიტეტისათვის. აქედან გამომდინარე, ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია სავარაუდო, განზოგადებული სარგებლის კატეგორიები. ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის ჩატარებისას მნიშვნელოვანია ეს ზოგადი კატეგორიები მოერგოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივ მახასიათებლებს. ცხრილი ასევე ცალკე სვეტში მაგალითებად აჩვენებს პრაქტიკაში დღეს არსებულ საშუალო ფასებს, რომელების ეფუძნება სხვადასხვა წყაროს - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, CENN-ის მიერ შემუშავებული ბიზნეს მოდელის კვლევისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს წყაროებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს ფასები მოცემულია ორიენტირისათვის, საბაზრო მდგომარეობის აღქმისათვის და არ წარმოადგენს ფიქსირებულ რაოდენობებს. ეს ფასები არის სტანდარტული საშუალო საბაზრო ფასები. მუნიციპალიტეტები არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით თვითონ შეადგენენ თითოეული კატეგორიისთვის ფასებს, ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით.

*ცხრილი 4: საქართველოში მუნიციპალურ ტყის მართვასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის კატეგორიები ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზისათვის.*

	სარგებლის კატეგორია	განმარტება
1	სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დამატებითი რესურსები	ამ ნაწილში უნდა აისახოს ბიუჯეტის ცვლილება (ნამატი) MFM გადმოზარების შემთხვევაში. წინა წლების ბიუჯეტი, რომელიც არაა დაკავშირებული MFM-თან, არ აღირიცხება. თდლ-ს მაგალითზე, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო ყოველწლიურად განსაზღვრავს თდლ-ის ადმინისტრაციის ბიუჯეტს. ადმინისტრაციის დაარსებისას 2011 წელს მისი ბიუჯეტი იყო 48 ათასი ლარი. მომდევნო წლებში ადმინისტრაციის ფუნქციებს დაემატა გზების მოვლა და მოხდა შესაბამისი თანხების ასიგნება და ბიუჯეტი გაიზარდა 130 ათას ლარამდე. 2022 წელს იგი 361,6 ათას ლარს შეადგენს.

<sup>36</sup> საქართველოს მთავრობის დადგენილება №221/2021 წლის 18 მაისი; ქ. თბილისი: „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე; დანართი 4.5.6.7.8.9;

<sup>37</sup> იხილეთ დანართები



2	მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები	<p>ამ ნაწილშიც უნდა აისახოს ის საკუთარი შემოსავლები, რომლებიც გენერირდება MFM-ის გადმოხარების გამო და უკავშირდება უშუალოდ ტყის მართვას.</p> <p>თდლ-ს მაგალითზე, ადმინისტრაციას აქვს საკუთარი შემოსავლის წყაროებიც. თუშეთში 2017 წლიდან სამასალე და საშეშე მერქნის გაცემის საბილეთო სისტემა მოქმედებს და 183 მოცულობაზე სამასალე მერქნის ღირებულება შეადგენს 25 ლარს, ხოლო საშეშე მერქანზე - 5 ლარს. ამასთანავე, ადმინისტრაცია მომხმარებელს სთავაზობს ტყეში მერქნის დამზადებისა და სამანქანე გზამდე გამოტანა-დასაწყობების მომსახურებას, რომელიც შეადგენს 183 საშეშე მერქნის შემთხვევაში-75ლარს, სამასალე მერქნის შემთხვევაში-150 ლარს. აღნიშნული ტარიფები განსხვავდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ღირებულებებისგან:</p> <p>1 კუბური მეტრი საშეშე მერქნული რესურსის სარეალიზაციო ფასი; ტრანსპორტირების გარეშე (დასაწყობების ადგილიდან) - ფოთლოვანი მერქნიანი სახეობები - 75 ლარი<sup>38</sup>; ტრანსპორტირებით 90 ლარი. წიწვოვანისთვის - 70 ლარი; ტრანსპორტირებით 85 ლარი.</p> <p>მომსახურების საფასური ხეტყის დამზადების ბილეთის გაცემისათვის - 1 კუბური მეტრი ხეტყის მოპოვებისთვის არის 3 ლარი<sup>39</sup>.</p> <p>ტყის არამერქნული რესურსების, მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადების უფლების არსებობის შესახებ ცნობის გაცემა - 50 ლარი.</p>
	2.1. გადასახადები	<p>გადასახადების კატეგორიაში ირიცხება დამატებული ღირებულების გადასახადი და ყველა სახის ქონების გადასახადი, რომელიც უკავშირდება ტყეს. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი.</p>
	2.2. გრანტები, შემოწირულობები, დონორების ფონდები მიზნობრიობის მიხედვით	<p>MFM-ის დანერგვის შემდგომ მიღებული გრანტები, თუ ეხება ტყის მართვას და ზოგადად ტყეს - საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული, ბიუჯეტის ტრანსფერები, სხვა ფონდები.</p> <p>თდლ-ს მაგალითზე, „კავკასიის ბუნების ფონდი“ (CNF), 2007 წელს გერმანიის კანონმდებლობით შექმნილი საქველმოქმედო ფონდი, რომელიც საქართველოში დაცულ ტერიტორიებს 2009 წლიდან ეხმარება, იწყებს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის - ა(ა)იპ „თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის გაძლიერებისა და საქმიანობის მხარდაჭერის პროექტს. საგრანტო პროგრამა ხორციელდება გერმანიისა და საქართველოს მთავრობებს შორის არსებული ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში, გერმანიის მთავრობის მიერ გამოყოფილი დაფინანსებით (BMZ) გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) შუამდგომლობით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ფონდი იღებს ვალდებულებას გამოეყოს გრანტი თდლ-</p>

38 საქართველოს მთავრობის დადგენილება №221 2021 წლის 18 მაისი; ქ. თბილისი; „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე; დანართი 8;

39 იხილეთ დანართი 1 და დანართი 2

		ის ადმინისტრაციის 2022 – 2024 წწ მიმდინარე ხარჯებისა და საოპერაციო გეგმის თანადაფინანსების მიზნით 200 000 ევროს ოდენობით.
2.3. სხვა შემოსავლები		სხვა შემოსავლების კატეგორიაში უნდა აღირიცხოს შემოსავლები საკუთრებიდან; დივიდენდები, რენტა, საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია, სანქციები და ტრანსფერები, რომლებიც სხვა კატეგორიაში არაა გამოყოფილი. ყველა უნდა უკავშირდებოდეს ტყის მართვას.
	<b>2.3.1. შემოსავლები საკუთრებიდან</b>	
	<b>2.3.2. დივიდენდები; პროცენტები</b>	ამ კატეგორიის არსებობის შემთხვევაში, თუ უკავშირდება ტყის მართვას და ტყით სარგებლობას.
	<b>2.3.3. რენტა</b>	ამ ნაწილში უნდა აისახოს რენტის ის კატეგორიები, რომლებიც ტყის რესურსის გამოყენებას ეხება პირდაპირ თუ ირიბად. მაგალითად, ამ კატეგორიაში აისახება: მოსაკრებლები - ბუნ. რესურსით სარგებლობისთვის; სახელმწიფო ტყის მერქნული რესურსებით სარგებლობისთვის; სახელმწიფო ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობისთვის; წყლით და წიაღისეულით სარგებლობისათვის - თუ ტყის ტერიტორიაზე; სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი; შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან.
	<b>2.3.4. საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია</b>	
	<b>2.3.5. ადმინისტრაციული მოსაკრებელი და გადასახდელები</b>	ამ კატეგორიაში, უნდა აისახოს მაგალითად არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება; მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე; ის კატეგორიები, რომელიც უკავშირდება ტყეს.
	<b>2.3.6. სანქციები (ჯარიმები და საურავები)</b>	ამ კატეგორიაში, უნდა აისახოს შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო, რომელიც უკავშირდება ტყით სარგებლობას.
	<b>2.3.7. ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული</b>	შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები. ამ ნაწილში შესაძლებელია აღირიცხოს ახლად შემოღებული გადასახადები, ან ცალკე კატეგორიად გამოიყოს. თდლ-ს მაგალითზე, შეზღუდული ბიუჯეტის შესავსებად განიხილება სავალდებულო გადასახადის შემოღების საკითხი - → ადგილობრივი ტურიზმის მოსაკრებელი: რომელიც მიმართული იქნება თუშეთში ტურიზმის დონის ამაღლების და კონსერვაციის ხელშეწყობი მოქმედებების დაფინანსებაზე. ასეთი მოსაკრებლის შემოღებისთვის საჭირო დამატებითი შეფასებები და მასთან დაკავშირებული პროცესი შესაძლოა განხორციელდეს ორი საპილოტე ფაზის სახით. → კემპინგის გადასახადი ან კონცესიები საქართველოს დაცული ტერიტორიების შემოსავლების საერთო წყაროს წარმოადგენს - თდლ-ს ადმინისტრაცია მიიჩნევს, რომ ეს კემპინგები იჯარით უნდა გაიცეს ერთი პაკეტით, რათა ხელი შეუწყოს უფრო მოშორებული უბნების განვითარებას და ფუნქციონირებას კერძო სექტორზე კონცესიის მეშვეობით. მიმდინარე გეგმებიდან ჩანს, რომ თუშეთში ორგანიზებული კემპინგები უკეთესი დიზაინისა და ფუნქციების მქონე იქნება, ამიტომ შესაძლებელი იქნება მეტი გადასახადის დაწესება, არსებული

		მოკრძალებული 5 ლარის ნაცვლად, რომელსაც დაცული ტერიტორიების სააგენტო იღებს ამჟამად თავისი საკარვე ადგილებისათვის. → საკონცესიო ურთიერთობების განვითარების მიზნით აუცილებელი იქნება სარეკრეაციო ობიექტების ადგილმდებარეობის მიხედვით დიფერენცირებული გადასახადის შემოღება.
	<b>2.3.8. ტყის სპეციალური სარგებლობიდან მიღებული სხვა შემოსავლები კონკრეტული კატეგორიები ჩაშლილია ქვემოთ:</b>	აღნიშნულ კატეგორიაში ერთიანდება მუნიციპალიტეტის მიერ მისაღები ყველა სარგებელი (ფულად გამოსახულებაში), რაც ტყის სპეციალურ სარგებლობას უკავშირდება.
	სამეურნეო ჭრით ხეტყის დამზადება	1 კუბური მეტრისთვის <sup>40</sup> მომსახურების საფასური:  ტყეკავის მონიშვნა (გარდა სოციალური ჭრების ფარგლებში მონიშნული ტყეკავებისა) ან სახელმწიფო ტყის ტერიტორიის ამორიცხვამდე მერქნული რესურსის წინასწარი აღრიცხვის მომსახურების საფასური: აღრიცხული მერქნული რესურსი - 3 ლარი;  ხეტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა ან/და სპეციალური ფირნიშებით მარკირება - 3 ლარი;  საშეშე მერქნული რესურსის დაპოვა-დაჩეხვა - 20 ლარი;
	პლანტაციური მეურნეობის მოწყობა	აქ და ქვემოთ მოცემულ კატეგორიებში გაითვალისწინება სარგებლობის უფლებებისა და სხვა დამატებითი მომსახურების საფასური, რომელსაც შემოსავლის სახით მუნიციპალიტეტი მიიღებს.
	სასოფლო-სამეურნეო მიზნით ტყითსარგებლობა	
	საკურორტო, რეკრეაციული, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნებით ტყითსარგებლობა;	
	თევზის მეურნეობის ან/და სამონადირეო მეურნეობის მოწყობა;	
	ცხოველთა თავშესაფრისა და სანაშენის მოწყობა;	
	ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობის განთავსება;	
	სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო მიზნებით ტყითსარგებლობა;	
	განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობა.	

ზემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ყველა იმ ეკონომიკურ სარგებელს, რომელთა ფულად განზომილებაში გამოსახვა შესაძლებელია ხელმისაწვდომი მონაცემების საფუძველზე, ან უკვე ჩატარებული ან მომავალში დაგეგმილი ტექნიკური დავალებების შესრულების საფუძველზე. თუმცა, გარდა ამ მონაცემებისა, სარგებლის კატეგორიაში შეიძლება გამოიყოს ისეთი სოციალური და გარემოზე გავლენის ნაწილები, რომელთა შეფასებაც და მონეტიზებაც ვერ ხერხდება რაოდენობრივად მეტა ანალიზზე დაყრდნობით.

ასეთი გავლენის შესაფასებლად, შესაძლებელია გამოვიყენოთ მრავალ-კრიტერიუმიანი ანალიზის მეთოდი (MCA) გამარტივებული მიდგომა. ამ შემთხვევაში ხარისხობრივად დარდება არსებული მდგომარეობა, „არაფრის კეთების“<sup>41</sup> ალტერნატივასთან, ახალ მოწყობასთან. MCA გამოყენება შესაძლებელია MFM-ის სოციალური და გარემოს განზომილებების შესაფასებლად. ცხრილი 4-ში ჩამოთვლილი გარემოსდაცვითი და სოციალური მიმართულებებით მდგომარეობის გაუმჯობესება პირდაპირ კავშირშია

40 საქართველოს მთავრობის დადგენილება №221 2021 წლის 18 მაისი; ქ. თბილისი; „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე; დანართი 4;

41 “Do nothing” ინგლისურად

ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთანაც საქართველოს კანონმდებლობით ტყის მართვის ორგანოებისთვის დადგენილი სარგებლის მიღების შესაძლებლობების (ტყით სპეციალური სარგებლობის სახეები) სრულად ათვისების შემთხვევაში. აღნიშნული ანალიზი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში, რომელშიც ანალიზისათვის შემოთავაზებულია სამეტაპიანი თვისებრივი შეფასების სისტემა (ე.ი., +, 0, -), რათა აჩვენოს შესაბამისი დადებითი (+), ნეიტრალური (0) და უარყოფითი (-) გავლენები. საწყისი წერტილია სტატუს-ქვო და შედარებისთვის ყველა კრიტერიუმში ფასდება „0“-ით. აღნიშნული კომპონენტები შესაძლებელია შეივსოს და მოერგოს კონკრეტული მუნიციპალიტეტის კონტექსტს. თვისებრივ/ხარისხობრივ შეფასებაში იგულისხმება თითოეული სარგებლის კატეგორიისათვის შესაბამისი შეფასების მინიჭება (იხ. ცხრილი 4), სფეროს ექსპერტების, დაინტერესებული მხარეების დაგროვილ ცოდნაზე, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასა და კვლევებზე დაფუძნებით. ქვემოთ ცხრილში მოყვანილი შეფასებები ეფუძნება თეორიულ და პრაქტიკულ, საერთაშორისო მასშტაბით არსებულ გამოცდილებას.

ცხრილი 5: მრავალკრიტერიუმიანი ანალიზი მუნიციპალური ტყის მართვის სარგებლის ხარისხობრივი კომპონენტების შესაფასებლად.

	სარგებლის კატეგორია	შეფასება	განმარტება
<b>სოციალური გავლენა</b>			
1	ტყის მართვის გადმოზარების გამო გაზრდილი ადგილობრივი ბიზნესების რაოდენობა	+	აღნიშნული ინდიკატორი ითარგმნება ზოგადად მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლების ცხოვრების დონის ამაღლებაში - იზრდება დასაქმება და მოსახლეობის განკარგავი შემოსავალი/მსყიდველობითუნარიანობა; იზრდება გადასახადებიდან შემოსავლები ბიზნესებიდან
2	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარებების ზრდა და მათზე უფრო მეტად მორგებული პროგრამების დანერგვა	+	მუნიციპალიტეტს ექნება სოციალურად დაუცველი მოსახლეობის შემთხვევაში უკეთესად უზრუნველყოფის შესაძლებლობა, იმ შემთხვევაში თუ ტყეს თუ ექნება შესაბამისი აღწარმოების პოტენციალი - ამ ეტაპზე მოცემული განაწილება არაა საკმარისი.
3	მოსახლეობის გადახდისადმი მზადყოფნა გაიზრდება	+	მოსახლეობის გადახდისადმი მზადყოფნა, შესაძლებელია გამოიხატოს ტყით სარგებლობისა და ბუნებრივი რესურსით სარგებლობისთვის არსებული მოსაკრებლების გაზრდისათვის მზაობით. MFM-ის შემთხვევაში, მოსალოდნელია, რომ მოსახლეობას ექნება მზაობა გაიზარდოს ფას ნამატი და ისარგებლოს ტყის რესურსით მიზნობრივად.
4	საზოგადოებისთვის რეკრეაციული და მწვანე სივრცეების გაზრდა, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის გაძლიერება.	+	აღნიშნული გაუმჯობესება მიიღწევა, თუ მუნიციპალური ტყის მართვა სწორედ საზოგადოებრივი რეკრეაციული და მწვანე სივრცეების მოწყობას გააქტიურებს.
5	ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება და დაბინძურებასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პრობლემების შემცირება	+	აღნიშნული გაუმჯობესება მიიღწევა, თუ მუნიციპალური ტყის მართვა ტყის მართვის მდგრად პრინციპებზე იქნება დაფუძნებული და ტყის აღდგენის სამუშაოებს რელევანტურად წარუძღვება.
6	გაზრდილი გამჭვირვალობა და ანგარიშგაღებულება ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე	+	მუნიციპალური ტყის მართვის პრაქტიკა ხშირად უფრო გამჭვირვალე და ანგარიშგაღებულებია ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე, რაც ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ნდობასა და ლეგიტიმურობას.



			<p>მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ გამოიყენონ ადგილობრივი ცოდნა და ჩართონ თემები ტყის მართვის გადაწყვეტილებებში, რაც გამოიწვევს უფრო ინფორმირებულ და სოციალურად მისაღები პოლიტიკასა და პრაქტიკას.</p> <p>მუნიციპალიტეტებს აქვთ მოქნილობა, მოარგონ ტყის მართვის სტრატეგიები ადგილობრივი საჭიროებებისა და პრიორიტეტების დასაკმაყოფილებლად, რაც საშუალებას იძლევა უფრო ეფექტური და პასუხისმგებელი მართვის მიდგომები.</p>
<b>გარემოზე გავლენა</b>			
7	წყალშემკრები აუზისა და წყლის რესურსების ხარისხის გაუმჯობესება	+	ტყის მდგრადი და სწორი მართვა გამოიწვევს ამ ტყის ტერიტორიაზე არსებული წყლის, წიაღისეულის და ზოგადად ნიადაგის ხარისხისა და პროდუქტიულობის გაუმჯობესებას.
8	გაძლიერებული ნახშირბადის სეკვესტრი	+	ხელს უწყობს კლიმატის ცვლილების შერბილებას
9	ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და გადამენების პირას მყოფი სახეობების დაცვა	+	
10	შემცირებული ნიადაგის ეროზია	+	ტყის მდგრადი და სწორი მართვა გამოიწვევს ამ ტყის ტერიტორიაზე არსებული წყლის, წიაღისეულის და ზოგადად ნიადაგის ხარისხისა და პროდუქტიულობის გაუმჯობესებას.
11	ბიომასის მარაგების გაძლიერება	+	ბიომასის მარაგების გაზრდა გამოიწვევს სათბური ეფექტების შემცირებას, ტყის რესურსების ხარისხის გაუმჯობესებას და სხვა.
<b>დადებითი გარე ფაქტორები / ექსტერნალიები</b>			
12	ქონების გაზრდილი ღირებულება	+	სწორად მართული ტყის მიწების მიმდებარე ტერიტორიებზე შესაძლებელია გაიზარდოს ქონების ღირებულება.
13	მუნიციპალიტეტის მიმზიდველობის გაზრდა მაცხოვრებლებისათვის და ბიზნესისთვის გარემოს ხარისხის გაუმჯობესება	+	სწორად მართული ტყის შედეგად, შესაძლებელია გრძელვადიან პერსპექტივაში მოსახლეობისთვის მუნიციპალიტეტის მიმზიდველობის გაზრდა, შიდა მიგრაციის შემცირება, ახალი ბიზნესებისთვის ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესება.

გამომდინარე იქიდან, რომ მუნიციპალიტეტები MFM-ის ფარგლებში იღებენ ტყის მენეჯმენტის პასუხისმგებლობას, ეფექტური მმართველობისა და მდგრადობისთვის აუცილებელი ხდება შესაბამისი ხარჯების განსაზღვრა. ისევე როგორც სარგებლის უმეტესი კატეგორიები, ხარჯების ძირითადი კატეგორიებიც ტყის კოდექსშივე იკითხება და უკავშირდება ტყის მართვის ორგანოს ფუნქცია-მოვალეობებს.

მუნიციპალური ტყეების მართვისას საჭიროა მნიშვნელოვანი ფინანსური და საოპერაციო პასუხისმგებლობების აღება სხვადასხვა სფეროში. ახალი მოწყობის დანერგვის ხარჯები ფუნდამენტურია და მოიცავს ტყის მუნიციპალური მართვის პოლიტიკის შემუშავებას და აღსრულებას, ტყის აღდგენის, მავნებლების კონტროლისა და დაავადებების მართვაში ინვესტიციების ჩათვლით, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეკოლოგიური ბალანსისა და ტყის სიჯანსაღის შესანარჩუნებლად. ფინანსური დანახარჯები ვრცელდება ტყისთვის მისადგომი ინფრასტრუქტურის მშენებლობასა და შენარჩუნებაზეც, სპეციალიზებული პერსონალის ტრენინგსა და დასაქმებასთან ერთად. მონიტორინგისა და შეფასების ხარჯები მოიცავს ყოვლისმომცველი სისტემების შექმნას ბიომრავალფეროვნების თვალყურის დევნებისთვის და პერიოდულ შეფასებებს მართვის სტრატეგიების დახვეწისთვის და სხვა.

აქაც უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტის ტყის რესურსს აქვს

განსხვავებული მახასიათებლები, შესაბამისად მისი მართვის ხარჯები შესაძლებელია განსხვავდებოდეს თითოეული მუნიციპალიტეტისათვის. აქედან გამომდინარე, ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია სავარაუდო, განზოგადებული ხარჯების კატეგორიები. ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის ჩატარებისას მნიშვნელოვანია ეს ზოგადი კატეგორიები მოერგოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივ მახასიათებლებს.

*ცხრილი 6 : საქართველოში მუნიციპალურ ტყის მართვასთან დაკავშირებული ეკონომიკური ხარჯების კატეგორიები ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზისათვის.*

	ხარჯების კატეგორია	განმარტება
1	<b>ტყის მართვის ორგანოს ხარჯები</b>	აღნიშნული კატეგორიზაცია ეფუძნება საქართველოს ტყის კოდექსის მუხლი 21-ს.
	<i>ტყეთმოწყობის ღონისძიებები</i>	აღნიშნული კატეგორიები ხშირ შემთხვევაში წინასწარ განსაზღვრული იქნება ტყის მართვის გეგმის ნაწილში.
	<i>ტყის დაცვის ღონისძიებები</i>	
	<i>ტყის მოვლისა და აღდგენა-გაშენების ღონისძიებები</i>	საშუალო საბაზრო ფასები <sup>42</sup> : ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობა - ფართობის გაწმენდა ბუჩქნარისა, ეკალბარდების და სარეველა ბალახებისგან - 1 კვ/მ საშუალოდ 6 ლარი <sup>43</sup> .
	<i>ტყითსარგებლობის ღონისძიებები</i>	ადამიანური რესურსის ხარჯი - ტყის კოდექსის 83-ე მუხლი
	<i>სხვადასხვა მიზნობრიობით ტყის მონიტორინგის ღონისძიებები</i>	ტყეში არაუმეტეს 3500 ჰა-ზე არანაკლებ 1 პირის მიერ უფლებამოსილების განხორციელება.
	<i>სტიქიური მოვლენების დროს საგანგებო ღონისძიებები</i>	
	<i>სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვის ხარჯები</i>	თდლ-ს მაგალითზე, ტყის ხანძრები მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე. ხანძრები უმეტესად ბუნებრივი მიზეზებითაა გამოწვეული და ამიტომ სიტუაცია შესაძლებელია გართულდეს კლიმატის ცვლილების ფონზე, ხანძრის პოტენციური გაჩენის საფრთხე ტურისტების რაოდენობის ზრდაც შეიძლება იყოს, შესაბამისად საჭიროა პრობლემის მონიტორინგი და დაცვის სამსახურის გაძლიერება, რათა მათ შეძლონ ხანძრის კერების დროულად გამოვლენა და ლიკვიდაცია.
	<i>ეკოლოგიური კატასტროფებით, ტყის მავნებელ-დაავადებებითა და სხვა მიზეზებით დაზიანებული ტყის აღდგენა-გაშენების ორგანიზება</i>	ამ ნაწილში შეგვიძლია განვიხილოთ ნარჩენების მართვაც. თდლ-ს მაგალითზე, თდლ-ის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნარჩენების მართვის მოსაწესრიგებლად შემუშავებულია ნარჩენების მართვის გრძელ- და მოკლევადიანი გეგმები; და დაწყებულია მათი განხორციელება. ხშირია საყოფაცხოვრებო ნარჩენების ხეში ჩაყრის პრაქტიკა, რაც წყლის მიერ ასევე დიდ მანძილზე გადაიტანება. თითქმის ყველა ფერმის ირგვლივ ტერიტორია ძლიერ დაბინძურებულია, საყურადღებოა ასევე ნაკელის გროვების პრობლემა, რომელიც არაერთხელ გამხდარა ხანძრის მიზეზი.
	<i>დაქირავებულების შრომის ანაზღაურება</i>	დამოკიდებულია შტატებზე, მეტყვევებზე, რეინჯერებზე
	<i>დასაქმებულების ტრენინგების და ტექნიკური გადამზადების ხარჯები</i>	MFM-ის დანერგვის პროცესში აუცილებელი ხდება ახალი თანამშრომლების ტრენინგი. თდლ-ს მაგალითზე, რეინჯერთა არასაკმარისი კორპუსი განიცდის პატრულირებისა და ტერიტორიის ეფექტური დაცვისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების, რესურსებისა და აღჭურვილობის ნაკლებობას. გარდა ამისა იკვეთება იურისტისა და გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების GIS სპეციალისტის ადგილზე მუშაობის აუცილებლობა. თდლ-ის ადმინისტრაციას სჭირდება კადრების სწავლების გეგმა, რომელსაც საფუძველად დაედება მათი ხედვა, თუ რომელი და რამდენი სპეციალისტის დანაკლისი განიცდის

42 იხილეთ დანართი 1 და დანართი 2

43 იხილეთ დანართი 2, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ინფორმაცია

		ორგანიზაცია საქმიანობის უფრო მეტად ეფექტურად შესასრულებლად.
	მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლების კამპანიის ხარჯები	<p>მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ გაწიონ ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ადგილობრივი თემების ჩართვასთან გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, მათ შორის საჯარო შეხვედრების ორგანიზება, აქტივობების ჩატარება და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების ხელშეწყობა.</p> <p>თდლ-ს მაგალითზე, თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციისა და დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ განხორციელებულმა სარეკლამო საქმიანობამ და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებმა ხელი შეუწყო ვიზიტორების რაოდენობის ზრდას და შექმნა დასაქმების და შემოსავლების გაზრდის პერსპექტივა.</p>
	განახლებული მარშრუტების ქსელისა და საკემპინგო, სარეკრეაციო, ტურისტული ადგილების აქტიური რეკლამირების ხარჯები	აღნიშნული საჭიროა, რათა შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფილი იყოს ვიზიტორების გადანაწილება და მარშრუტების მეტ-ნაკლებად თანაბრად დატვირთვა კონკრეტულ ბილიკებზე ძლიერი უარყოფითი ზეგავლენის თავიდან ასაცილებლად;
	ტყის ღონისძიებებისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის შეძენის ხარჯები	<p>თდლ-ს მაგალითზე, თუშეთის შიდა გზებს ყოველწლიურად ესაჭიროება აღდგენა-რეაბილიტაცია, რის გამოც თდლ-ს ადმინისტრაციას გადმოეცა სამი ერთეული საგზაო ტექნიკა და დაუმტკიცდა კონკრეტული ბიუჯეტი ამ საქმისთვის. საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას თუშეთისთვის სამი ერთეული ტექნიკა გადასცა (ბულდოზერი, თვითმცლელი და ექსკავატორი). აღნიშნული ახმეტის მუნიციპალიტეტისათვის ხარჯი არაა, რადგან საჩუქრად გადაეცა, თუმცა სხვა შემთხვევებში შესაძლებელია ეს ტექნიკა შესაძენი ჰქონდეს მუნიციპალიტეტს.</p> <p>აღსანიშნავია, რომ ზოგადად სსიპ ტყის სააგენტოს გამოცდილებაზე დაყრდნობით, ტექნიკური დანადგარების მოხმარების ორი სცენარი არსებობს პრაქტიკაში:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. მუნიციპალიტეტი ყიდულობს ტექნიკას, იხდის შესაბამის ფასს.</li> <li>2. მუნიციპალიტეტი გარედან, აუთსორსზე ქირაობს ტექნიკას და მომსახურებას. ამ შემთხვევაში მას მხოლოდ მომსახურების ხარჯი ექნება.</li> </ol> <p>სსიპ ტყის სააგენტოს მაგალითზე, ტექნო პარკი არ აქვს სატყეო სააგენტოს და ამ მომსახურებას ქირაობს.</p>
	სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები	<p>ყველა დარჩენილი შერეული ხარჯი, რომელიც არაა კლასიფიცირებული სხვა კატეგორიებში.</p> <p>სატყეო გზების მოწყობა/რეაბილიტაციის პროექტირება - 1 კმ-მდე 1500 ლარი.</p>
2	დამატებითი კადრების ანაზღაურება ტყის მართვის მიმართულებით მერიაში	ორგანიზაცია GEO-ს ანგარიშში იკითხება, რომ სამიზნე მუნიციპალიტეტების მერიებსა და საკრებულოებში, რიგ შემთხვევებში, დასაქმებულები არიან გარემოს სპეციალისტები. სწორედ ეს კადრები იკვეთებიან ტყის მართვის საკითხებთან და მომავალში ტყის მართვის ორგანოებთან. აღსანიშნავია, რომ ამ სამსახურის სტრუქტურა დამოკიდებულია იმ ტყის ფუნქციაზე, რაც გადაეცემა მუნიციპალიტეტს და არაა უნიფიცირებული ყველა მუნიციპალიტეტისთვის. ტყის კოდექსის მიხედვით, პირველი ნაბიჯი ტყის მართვის ორგანოს შექმნა (ააიპ) და მისი დაკომპლექტებაა.
3	სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები მერიისთვის და საკრებულოსთვის	თდლ-ს მაგალითზე, თდლ-ში ტერიტორიაზე ტურისტთა რაოდენობის მკვეთრმა ზრდამ და მასთან დაკავშირებულმა განთავსებამ, საგულისხმო ზეწოლა მოახდინა ისეთ

	სერვისებზე, როგორიცაა: წყლით უზრუნველყოფა, ნარჩენების შეგროვება და ნაგავსაყრელების მოწყობა, რომლის ხარჯებსაც დღეს თდლ-ს ადმინისტრაცია ფარავს.
--	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

ზემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ყველა იმ ეკონომიკურ ხარჯს, რომელთა ფულად განზომილებაში გამოსახვა შესაძლებელია ხელმისაწვდომი მონაცემების ან უკვე ჩატარებული ან მომავალში დაგეგმილი ტექნიკური დავალებების შესრულების საფუძველზე. თუმცა, გარდა ამ მონაცემებისა ხარჯის კატეგორიაში შეიძლება გამოიყოს ისეთი სოციალური და გარემოზე გავლენის ნაწილები, რომელთა შეფასებაც და მონეტიზებაც ვერ ხერხდება რაოდენობრივად მეტა ანალიზზე დაყრდნობით.

ასეთი გავლენის შესაფასებლად, შესაძლებელია აქაც გამოვიყენოთ მულტი კრიტერიუმებიანი ანალიზის მეთოდის (MCA) გამარტივებული მიდგომა. ამ შემთხვევაში ხარისხობრივად დარდება არსებული მდგომარეობა, „არაფრის კეთების“ ალტერნატივა, ახალ მოწყობასთან. MCA გამოყენება შესაძლებელია MFM-ის სოციალური და გარემოს განზომილებების შესაფასებლად. აღნიშნული ანალიზი წარმოადგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში, რომელშიც ანალიზისათვის შემოთავაზებულია სამეტაპიანი თვისებრივი შეფასების სისტემა (ე.ი., +, 0, -), რათა აჩვენოს შესაბამისი დადებითი (+), ნეიტრალური (0) და უარყოფითი (-) გავლენები. საწყისი წერტილია სტატუს-ქვო და შედარებისთვის ყველა კრიტერიუმში ფასდება „0“-ით. აღნიშნული კომპონენტები შესაძლებელია შეივსოს და მოერგოს კონკრეტული მუნიციპალიტეტის კონტექსტს. თვისებრივ/ხარისხობრივ შეფასებაში იგულისხმება თითოეული სარგებლის კატეგორიისათვის შესაბამისი შეფასების მინიჭება (იხ. ცხრილი 6), სფეროს ექსპერტების, დაინტერესებული მხარეების დაგროვილ ცოდნაზე, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასა და კვლევებზე დაფუძნებით. ქვემოთ ცხრილში მოყვანილი შეფასებები ეფუძნება თეორიულ და პრაქტიკულ, საერთაშორისო მასშტაბით არსებულ გამოცდილებას.

*ცხრილი 7: მრავალკრიტერიუმებიანი ანალიზი მუნიციპალური ტყის მართვის პოტენციური დამატებითი ხარჯების ხარისხობრივი კომპონენტების შესაფასებლად.*

	ხარჯის კატეგორია	შეფასება	განმარტება
სავარაუდო სოციალური გავლენა			
1	გავლენა ადგილობრივ თემებზე	-	<p>ტყის რესურსების ხელმისაწვდომობა და გამოყენება: MFM-მა შეიძლება შეზღუდოს ადგილობრივი თემების წვდომა ტყის რესურსებზე, როგორიცაა შეშა, საკვები და ტრადიციული მედიკამენტები, რაც გავლენას მოახდენს მათ საარსებო წყაროზე და კულტურულ პრაქტიკაზე.</p> <p>შენიშვნა: თუმცა ასევე შესაძლებელია, რომ აქ ჩამოთვლილი გავლენები დადებითიც იყოს, მაგალითად, შემთხვევითად უზრუნველყოფის შესაძლებლობა შეიძლება წარმოიქმნას და არა შეშაზე შეზღუდვა. ორივეა შესაძლებელი, დადებითი ზეგავლენაც და უარყოფითიც - ეს დამოკიდებულია თითოეული მუნიციპალიტეტის პრაქტიკაზე, კონტექსტზე და ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს.</p> <p>ვიზუალური და რეკრეაციული ზემოქმედება: ტყის ლანდშაფტის ცვლილებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ტყის რეკრეაციულ გამოყენებაზე, რაც ადგილობრივი საზოგადოების ცხოვრების ხარისხის მნიშვნელოვანი ასპექტია.</p>



2	გადაადგილებისა და მიწის უფლებების საკითხები	-	ზოგიერთ შემთხვევაში, ტყის მართვის პრაქტიკის განხორციელებამ შეიძლება გამოიწვიოს ადგილობრივი თემების გადაადგილება ან დავა მიწის უფლებებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც მიწათმფლობელობა მკაფიოდ არ არის განსაზღვრული.
<b>სავარაუდო გარემოზე გავლენა</b>			
3	ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემაზე გავლენა	-	ჰაბიტატის დარღვევა: ტყის ინტენსიურმა მართვამ შეიძლება გამოიწვიოს ჰაბიტატის დარღვევა, რაც გავლენას მოახდენს ადგილობრივ ველურ ბუნებასა და მცენარეთა სახეობებზე. ისეთმა საქმიანობამ, როგორიცაა გაწმენდა და ხელახალი დარგვა, შესაძლოა დროებით შეამციროს ბიომრავალფეროვნება.
4	ნახშირბადის ემისია მართვის საქმიანობიდან	-	ტყეების მართვის პროცესი, მათ შორის მძიმე ტექნიკის გამოყენება ჭრის ან ტყეების აღდგენისთვის, შეიძლება გამოიწვიოს ნახშირბადის ემისიების გაზრდა.
5	ქიმიური გამოყენება	-	პესტიციდების და სასუქების გამოყენებამ ტყის მართვაში შეიძლება გამოიწვიოს ქიმიური ჩამონადენი, რაც გავლენას მოახდენს მიმდებარე ეკოსისტემებსა და წყლის ობიექტებზე.
<b>უარყოფითი გარე ეფექტი / ექსტერნალები</b>			
6	ხმაური და დაბინძურება	-	ტყის მართვის ოპერაციებმა შეიძლება გამოიწვიოს ხმაური და დაბინძურება, რაც გავლენას მოახდენს როგორც ადამიანთა პოპულაციაზე, ასევე მენეჯმენტის ტერიტორიების მიმდებარე ველურ ბუნებაზე.
7	ტყის ხანძრის გაზრდილი რისკი	-	ტყის რესურსების კომერციული მიზნით გამოყენებამ, შესაძლებელია გაზარდოს არაკონტროლირებადი ხანძრების რისკი.
8	კორუფციის რისკი	-	ორგანიზაცია GEO-ს ანგარიშში იკვეთება, რომ მერიის წარმომადგენლები ხშირად ხედავენ კორუფციის რისკებს. კორუფციულ გარიგებებთან დაკავშირებული რისკებად დასახელდა მეტყევეების მიერ შემოს გამოყოფა „ახლოვლურად“ (მერის განცხადებით, აქ მაინც დამაინც არ უნდა ვიგულისხმოთ კორუფცია, შესაძლოა ეს დაკავშირებული იყოს იმასთან, რომ მათ, ვისაც არ აქვს შემოს ყიდვის შესაძლებლობა, შესაძლოა მეტყევეებს სთხოვონ უფასოდ შემოს მოპოვება);
9	წნეხი ინფრასტრუქტურაზე	-	ტყის მართვის ოპერაციების შედეგად გაზრდილმა აქტივობამ და მოძრაობამ შეიძლება წნეხი წარმოშვას ადგილობრივ ინფრასტრუქტურაზე, რაც გამოიწვევს გზების დეგრადაციას და გაზრდის ტექნიკურ ხარჯებს.

## 4.2 სარგებლისა და ხარჯების დისკონტირების პროცესი და ტექნიკა

ცხრილი 2 და ცხრილი 4-ის მონაცემებზე დაყრდნობით, აღნიშნული კატეგორიების სარგებლისა და დანახარჯების რიცხობრივად, ფულად გამოსახულებაში წარმოდგენა შესაძლებელია. ყველა ხარჯისა და სარგებლის იდენტიფიცირებისა და განსაზღვრის შემდგომ ტარდება ანალიზი. ანალიზის ჩატარებისას მნიშვნელოვანია იმ დროის პერიოდის განსაზღვრა, რა პერიოდზეც გვაინტერესებს პროექტის ან გადაწყვეტილების შეფასება. ამ ნაწილში უნდა შეფასდეს, არჩეულ დროის პერიოდზე როგორაა გადანაწილებული დანახარჯებისა და სარგებლის ნაკადები და შემდეგ მოხდეს პროექტის სასიცოცხლო ციკლის მანძილზე მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების (დადებითი და უარყოფითი) ჯამის დისკონტირება ანუ ახლანდელ ღირებულებაში გადმოყვანა. თუ ჯამური სარგებელი მიმდინარე ღირებულებაში უფრო მაღალია ვიდრე ხარჯები, მაშინ MFM-ს მოაქვს წმინდა სარგებელი მუნიციპალიტეტისათვის.



## **ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის პერიოდის განსაზღვრა**

მუნიციპალური ტყის მენეჯმენტის სფეროში, ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზისთვის შესაბამისი პერიოდის არჩევას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მართვის საქმიანობის რეალური ეკონომიკური ზემოქმედების დასათვლელად. მიზნობრივი ანალიზისთვის არჩეულია 10-წლიანი პერიოდი, რომელიც ასახავს ძირითადი დაინტერესებული მხარეების კონსენსუსს, რომელთა ინტერესები შეესაბამება მოსალოდნელ ცვლილებებსა და ზემოქმედებას ათწლეულის მანძილზე. ეს ვადა საშუალებას იძლევა სარგებლისა და დანახარჯების ბალანსზე. აუცილებელია ხაზი გაესვას იმ ფაქტს, რომ ტყის მართვის დადებითი შედეგების რეალიზაციისთვის უმეტესად გრძელვადიანი პერიოდია საჭირო, შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ CBA-ს ანალიზისას დასაწყისში ხარჯების დისკონტირებული ღირებულება გადააჭარბებს სარგებელს.

10-წლიანი დროის პერიოდი გულისხმობს, რომ თითოეული ხარჯებისა თუ სარგებლის კატეგორიის განვითარების პროგნოზირება უნდა მოხდეს შემდეგი 10 წლის მანძილზე. საუკეთესო პრაქტიკაში აღნიშნული პროგნოზები ეფუძნება სარგებლისა და ხარჯების კატეგორიების წარსულ განვითარებას და ხელმისაწვდომ სტატისტიკას ან საერთაშორისო პრაქტიკაში არსებულ მაგალითებს.

მაგალითად, თუ რომელიმე მუნიციპალიტეტში ბოლო რამდენიმე წელიწადში „სხვა შემოსავლების“ კატეგორია „შემოსავლები საკუთრებიდან“ წლიდან-წლამდე საშუალოდ 2%-ით იზრდებოდა, მაშინ შემდეგი 10 წლის განმავლობაში მოდელში შესაძლებელია გაკეთდეს დაშვება, რომ აღნიშნული ზრდის მაჩვენებელი შენარჩუნდება, თუ სხვა დამატებითი ინფორმაცია არაა ცნობილი. სწორედ ეს მიდგომა და გზა უნდა გამოიყენოს მუნიციპალიტეტმა ყველა კატეგორიის მომავალი განვითარების პროგნოზირებისათვის, რათა მიიღოს 10-წლიან ვადაზე სარგებლისა და ხარჯების ყოველწლიური მოსალოდნელი მნიშვნელობები, გამოსახული ფულად ერთეულებში.

## **დისკონტირება**

ამ პროგნოზების განსაზღვრის შემდეგ მოდის დისკონტირების ეტაპი. ეს კრიტიკული ნაბიჯი მოიცავს სამომავლო სარგებლისა და ხარჯების გარდაქმნას მათ დღევანდელ ღირებულებებად, დისკონტის განაკვეთის გამოყენებით. ეს ტექნიკა ადასტურებს, რომ აწმყოში არსებული ფული უფრო მეტი ღირს, ვიდრე იგივე თანხა მომავალში მისი პოტენციური შემოსავლის შესაძლებლობის გამო.

ამ პროცესისათვის მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, დისკონტის განაკვეთის შერჩევა. რადგანაც ამ შემთხვევაში საქმე ეხება მუნიციპალიტეტების პერსპექტივიდან პოტენციურ სარგებელსა და დანახარჯებს, გამოთვლებისათვის შესაძლებელია გამოვიყენოთ საჯარო სექტორის დისკონტის განაკვეთი (სარგებლისა და ხარჯების შინაარსიდან გამომდინარე), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 8-10-წლიანი სახაზინო ვალდებულებების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 2024 წლისათვის. ამ შემთხვევაში აღნიშნული დისკონტის განაკვეთია 8.36%<sup>44</sup>. აღნიშნული მონაცემები განახლებადი და ცვალებადია, შესაბამისად უნდა დაკორექტირდეს, რათა გამოვიყენოთ უახლესი მონაცემები.

არჩეული დისკონტის განაკვეთი შეესაბამება სამომავლო საჯარო ხარჯებისა და სარგებლის შეფასების სამთავრობო პერსპექტივას, ასახავს კაპიტალის ალტერნატიულ ღირებულებას სახელმწიფო ფონდებისათვის და არა მხოლოდ კერძო ინვესტიციებისათვის. საჯარო სექტორის განაკვეთი განსაკუთრებით გამოიყენება იმ სცენარებში, როდესაც პროექტებს, როგორიცაა MFM, აქვთ გარემოზე და სოციალურ მდგომარეობაზე ზემოქმედება და ვრცელდება ხანგრძლივ პერიოდზე. ეს პროექტები ხშირად მოიცავს საზოგადოებრივ საქონელს და მომსახურებას, როგორიცაა ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და

44 წყარო: [Interest rates on papers markets](#) საპროცენტო განაკვეთები ფულად და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის ბაზრებზე სტატისტიკური მონაცემები ([nbg.gov.ge](#))

რეკრეაციული სივრცეები, რომელთა სარგებელი ფართოდ არის გავრცელებული საზოგადოებაში და არა უშუალოდ დაინტერესებულ მხარეებზე. გარდა ამისა, საჯარო სექტორის დისკონტის განაკვეთი ზოგადად უფრო სტაბილურია და ასახავს გრძელვადიანი საინვესტიციო პერსპექტივას, რომელიც საჭიროა ტყის მდგრადი მართვისთვის, რაც მოითხოვს პროგნოზირებას ათწლეულების განმავლობაში ყველა ეკოლოგიური ციკლისა და გრძელვადიანი გარემოზე ზემოქმედების ადეკვატურად აღსანიშნავად. ამგვარად, ამ განაკვეთის გამოყენება უზრუნველყოფს CBA-ის შესაბამისობას ეროვნულ ეკონომიკურ პოლიტიკასთან და საჯარო რესურსების მდგრად მართვასთან.

დისკონტის განაკვეთის შერჩევის შემდეგ, ხდება თითოეული წლისათვის სარგებლისა და ხარჯების დისკონტირება, შემდგომ დისკონტირებული სარგებლისა და ხარჯების ჯამებს შორის სხვაობის პოვნა, რაც იძლევა პროექტის/ცვლილების წმინდა მიმდინარე ღირებულებას (NPV). ესაა პროცესი, რომლის დროსაც მომავალში მისაღები სარგებელი და გასაწევი ხარჯების ნომინალური ინდიკატორები გამოსახულია მიმდინარე ღირებულებაში, „დისკონტირების განაკვეთი“ არის უარყოფითი საპროცენტო განაკვეთის ანალოგიური წლიური განაკვეთი, რომლითაც მომავალ ხარჯებსა და სარგებელს ამცირებენ შესაძარებელი მიმდინარე ღირებულებების დასადგენად.

დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების (სარგებლისა და ხარჯების) გამოთვლა შემდეგი ფორმულით ხდება:

$$\text{დისკონტირებული ღირებულება} = \frac{B_1}{(1+r)^1} + \frac{B_2}{(1+r)^2} + \frac{B_3}{(1+r)^3} + \frac{B_4}{(1+r)^4} + \dots + \frac{B_{10}}{(1+r)^{10}}$$

სადაც:

$B_1$  = ჯამური სარგებელი ან ხარჯი პირველი წლისათვის;

$B_2$  = ჯამური სარგებელი ან ხარჯი მეორე წლისათვის;

...

$B_{10}$  = ჯამური სარგებელი ან ხარჯი მეათე წლისათვის (რადგან ჩვენს ანალიზში ავირჩიეთ 10-წლიანი პერიოდი);

$r$  = დისკონტის განაკვეთი, ჩვენს შემთხვევაში 7.879%.

სარგებლისა და ხარჯის ჯამური დისკონტირებული ღირებულების გამოთვლის შემდეგ, ითვლება წმინდა მიმდინარე ღირებულება (NPV – Net Present Value) – პროექტის სასიცოცხლო ციკლის მანძილზე მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების (დადებითი და უარყოფითი) ჯამის დისკონტირებული ღირებულება; სხვა სიტყვებით, სარგებლის ჯამურ დისკონტირებულ მნიშვნელობას აკლდება ხარჯების ჯამური დისკონტირებული მნიშვნელობა.

ექსელში კი ფორმულით ადვილად შესაძლებელია წმინდა მიმდინარე ღირებულების დათვლა როგორც ხარჯების, ისე სარგებლისათვის. ფორმულა შემდეგია:

$$=NPV(\text{დისკონტირების განაკვეთი}; \text{ფულადი ნაკადები 10-წელიწადზე})$$

NPV ითვლება ცალკე სარგებელსა და ცალკე ხარჯებზე. დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების ჯამი (როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი) იძლევა წმინდა მიმდინარე ღირებულებას (NPV), რომელიც გადამწყვეტია გადაწყვეტილების მიღებისთვის. თუ NPV გამოავლენს, რომ 10-წელიწადში მისაღები ჯამური სარგებელი აღემატება ჯამურ ხარჯებს, MFM პროექტი შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანად, რაც მუნიციპალიტეტს წმინდა სარგებელს შესთავაზებს შერჩეულ 10 წლიან პერიოდში.

### 4.3 სენსიტიურობის (მგრძნობელობის) ანალიზი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სარგებლისა და ხარჯების გარკვეულ პერიოდზე პროგნოზირებისათვის საჭიროა გარკვეული დაშვებების გაკეთება. იმის გამო, რომ აღნიშნული დაშვებები უმეტესწილად ეფუძნება სტატისტიკურ ინფორმაციას, ჩართული აქტორების გამოცდილებას და მაქსიმალური სიზუსტით ვერ ასახავს მომავალში მისაღებ ფულად ნაკადებს, შესაძლებელია მიღებულ შედეგს ჰქონდეს მცირე ცდომილებები და ბოლომდე არ რეალიზდეს.

მგრძნობელობის ანალიზი არის CBA-ის მნიშვნელოვანი კომპონენტი, განსაკუთრებით ისეთ პროექტებში, როგორიცაა მუნიციპალური ტყეების მართვა, სადაც გრძელვადიანი გარემოსდაცვითი და ეკონომიკური შედეგები უმეტესწილად განუსაზღვრელია და ხშირ შემთხვევაში ვერ ფასდება რაოდენობრივად. ეს ანალიზი აფასებს რამდენად მგრძნობიარეა CBA-ის შედეგები ძირითადი დაშვებებისა და ცვლადების ცვლილებების მიმართ, როგორიცაა დისკონტის განაკვეთები, ხარჯების შეფასება და სარგებლის პროგნოზები. სენსიტიურობის ანალიზის უპირველესი მიზანია გამოავლინოს რომელ ცვლადებს აქვთ ყველაზე მეტი გავლენა შედეგებზე და რაოდენობრივად განსაზღვროს, თუ როგორ ცვლის ამ ცვლადებში ცვლილებები პროექტის მოსალოდნელ შედეგებს.

**სენსიტიურობის ანალიზის პროცესი:**

1. **ძირითადი ცვლადების იდენტიფიცირება:** სენსიტიურობის ანალიზის ჩატარების პირველი ნაბიჯი არის ძირითადი ცვლადების იდენტიფიცირება, რომლებიც, სავარაუდოდ, მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ CBA-ს შედეგებზე. MFM-ის კონტექსტში, ეს შეიძლება მოიცავდეს დისკონტის განაკვეთს, ტყის მართვის საქმიანობის სავარაუდო ხარჯებს, პროგნოზირებულ სარგებელს, როგორიცაა ნახშირბადის სეკვესტრი და რეკრეაციული ღირებულებები, და ვარაუდები ეკოლოგიური აღდგენის ან დეგრადაციის ტემპის შესახებ.
2. **თითოეული ცვლადის დიაპაზონის განსაზღვრა:** ძირითადი ცვლადების იდენტიფიცირების შემდეგ, მნიშვნელოვანია განისაზღვროს სარწმუნო დიაპაზონი თითოეულისთვის, რომელიც უნდა ასახავდეს მოცემული ცვლადის პოტენციურ ცვალებადობას ან გაურკვევლობას. მაგალითად, დისკონტის განაკვეთი შეიძლება განსხვავდებოდეს ეკონომიკური პირობების ცვლილებების ან პოლიტიკის გადაწყვეტილებების გამო.
3. **ანალიზი:** განსაზღვრული დიაპაზონების გამოყენებით, ანალიზი გულისხმობს CBA-ის მრავალჯერად გამოთვლას, ყოველ ჯერზე ერთი ან მეტი ცვლადის შეცვლას მათ მითითებულ დიაპაზონში. ეს შეიძლება გაკეთდეს მარტივი „what-if“/“რა-თუ“ სცენარებით ან უფრო რთული სტატისტიკური მეთოდებით, რომლებიც იყენებენ შემთხვევით შერჩევას შედეგების ფართო სპექტრის შესასწავლად. საწყის ეტაპზე რეკომენდირებულია კონცენტრირება მარტივ მიდგომაზე.
4. **შედეგების ანალიზი:** მნიშვნელოვანია გაანალიზდეს რამდენად მგრძნობიარეა CBA-ს შედეგები თითოეულ ცვლადის ცვლილებების მიმართ. ეს მოიცავს დაკვირვებას, თუ როგორ მოქმედებს ცვლილებები თითოეულ ცვლადში წმინდა მიმდინარე ღირებულებაზე (NPV) ან სხვა შესაბამის მეტრიკაზე, რომელიც გამოიყენება პროექტის შესაფასებლად. შედეგები ხელს შეუწყობს „ყველაზე სარისკო“ ცვლადების იდენტიფიცირებას, რომლებიც იწვევს შედეგებში ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებებს.
5. **მგრძნობელობის ანალიზის შედეგების დოკუმენტირება და წარმოდგენა.** აღნიშნული პროცესი უნდა მოიცავდეს დეტალურ განხილვას იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს თითოეული ძირითადი ცვლადის ვარიაციები პროექტის ეკონომიკურ

სიცოცხლისუნარიანობასა და მდგრადობაზე. ანგარიშგება ასევე უნდა მოიცავდეს პოტენციური შედეგების დიაპაზონს, რაც გადაწყვეტილების მიმღებებს აძლევს მკაფიო გაგებას პროექტთან დაკავშირებული შესაძლო რისკებისა და ბენეფიტების შესახებ.

სენსიტიურობის ანალიზი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუნიციპალური ტყის მენეჯმენტში გრძელვადიან გარემოსდაცვით პროექტებთან დაკავშირებული თანდაყოლილი გაურკვევლობების გამო. ფაქტორებმა, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, ეკონომიკური რყევები და ცვლილებები საჯარო პოლიტიკაში, შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს CBA-ის ძირითადი დაშვებები. იმის გაგებით, თუ რომელ ცვლადებს აქვთ ყველაზე დიდი გავლენა CBA-ს შედეგებზე, პოლიტიკის შემქმნელებს და დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ მიიღონ უფრო ინფორმირებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ითვალისწინებენ პროექტთან დაკავშირებულ პოტენციურ ცვალებადობას და რისკს. გარდა ამისა, ამ ანალიზს შეუძლია წარმართოს მომავალი კვლევისა და მონაცემთა შეგროვების ძალისხმევა, ხაზგასმით, თუ რომელი ცვლადები საჭიროებენ უფრო ზუსტ შეფასებას CBA-ს შედეგებში გაურკვევლობის შესამცირებლად.

#### 4.4 ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის შედეგები

მუნიციპალური ტყის მართვის ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის დასკვნითი ეტაპი უკვე შედეგების ინტერპრეტაციას ეხება და აფასებს თუ როგორი გავლენა შეიძლება იქონიოს ტყის მართვის დე ცენტრალიზებულმა სცენარმა რესურსების განაწილებაზე, დასაქმების შესაძლებლობებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე. ეს ანალიზი ასევე გადამწყვეტია სხვადასხვა გენდერულ ჯგუფზე ტყის მართვის გადაწყვეტილებების დიფერენციალური ზემოქმედების გასაგებად და სარგებლისა და ხარჯების თანაბარი განაწილების უზრუნველსაყოფად, იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული გენდერული განსხვავებები და გავლენები რომელიმე მუნიციპალიტეტის ფარგლებში იკვეთება.

შედეგებში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი, თუ როგორ ნაწილდება ტყის მართვის სარგებელი და ხარჯები საზოგადოებაში. ეს გულისხმობს იმის გარკვევას, თუ ვინ სარგებლობს გაზრდილი სამუშაო ადგილებით, უკეთესი ტყის პროდუქტებით, გაუმჯობესებული ეკო სისტემური მომსახურებით და ვის ეკისრება ხარჯები. სენსიტიურობის ანალიზის შედეგები უნდა იყოს ჩართული იმის დემონსტრირებისთვის, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს ძირითადი ეკონომიკური დაშვებების ცვალებადობამ, როგორიცაა დისკონტის განაკვეთები ან ხარჯების შეფასება, სარგებლისა და ხარჯების განაწილებაზე სხვადასხვა სცენარებში. ზოგადად, თუ NPV გამოავლენს, რომ არჩეულ პერიოდზე მისაღები ჯამური სარგებელი აღემატება ჯამურ ხარჯებს, MFM პროექტი შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანად, რაც მუნიციპალიტეტს წმინდა სარგებელს შესთავაზებს შერჩეულ პერიოდში და პირიქით, თუ NPV იქნება უარყოფითი.

წინამდებარე ანალიზში წარმოდგენილი გაიდლაინები ეფუძნება საქართველოს გამოცდილებას მუნიციპალური ტყის მართვის სფეროში. თუმცა, აუცილებელია იმის აღიარება, რომ თითოეულ მუნიციპალიტეტს აქვს უნიკალური გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და სოციალური კონტექსტი. ამიტომ, ეს გაიდლაინები უნდა იყოს ადაპტირებული, რათა ასახავდეს თითოეული მუნიციპალიტეტის სპეციფიკურ პირობებსა და საჭიროებებს. ამ გაიდლაინების გამოყენებისას მუნიციპალიტეტებმა უნდა გაითვალისწინონ ადგილობრივი დემოგრაფიული მონაცემები, კულტურული პრაქტიკა და ეკონომიკური პირობები, რათა უზრუნველყონ, რომ CBA-ს შედეგები შესაბამისი და ეფექტური იყოს ტყის მართვის ადგილობრივი პოლიტიკის ინფორმირებისთვის.

## 5. შეჯამება

ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის (CBA) განხორციელება მუნიციპალური ტყის მართვაში საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად კრიტიკულ ნაბიჯს წარმოადგენს. მოცემული სახელმძღვანელო ასახავს სტრუქტურირებულ მიდგომას მუნიციპალიტეტებისთვის, რათა მათ შეძლონ სისტემატიურად შეაფასონ ტყის მართვის ინიციატივების ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედება. ამ პრაქტიკის მიღებით, მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ უზრუნველყონ მათი გადაწყვეტილებების როგორც ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა, ასევე ეკოლოგიური მდგრადობა და სოციალური სამართლიანობა.

### ძირითადი დასკვნები:

- **ყოვლისმომცველი (პოლისტიკური) შეფასება:** სახელმძღვანელო ხაზს უსვამს ყოვლისმომცველი შეფასების მნიშვნელობას, რომელიც მოიცავს პირდაპირ და არაპირდაპირ ხარჯებსა და სარგებელს. ეს მიდგომა უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა პოტენციური ზემოქმედების გათვალისწინებას, როგორც დადებითის, ასევე უარყოფითის.
- **ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება:** CBA-სთვის მკაფიო ჩარჩოს ჩამოყალიბებით, ინსტრუქციები მუნიციპალურ ხელისუფლებას შესაძლებლობას აძლევს მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები რაოდენობრივ და ხარისხობრივ მონაცემებზე დაყრდნობით. ეს ამცირებს ინტუიციურ მსჯელობაზე დამოკიდებულებას და ზრდის გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას.
- **ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა და მდგრადობა:** სახელმძღვანელო ხაზს უსვამს ტყის მდგრადი მართვის პრაქტიკის მნიშვნელობას, რომელიც ხელს უწყობს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას. სწორად მართულ ტყეებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებელი მოიტანონ სამუშაო ადგილების შექმნის, ტყის პროდუქტებიდან მიღებული შემოსავლების გაზრდისა და ეკოსისტემური სერვისების გაუმჯობესების გზით.
- **გარემოს დაცვა:** სახელმძღვანელო ხაზს უსვამს ტყეების მნიშვნელოვან როლს ეკოსისტემური სერვისების მიწოდებაში, როგორცაა წყლის რეგულაცია, ნიადაგის დაცვა და ნახშირბადის სეკვესტრირება. ტყის მდგრადი მართვის პრაქტიკა ხელს უწყობს ამ სერვისების შენარჩუნებას, გარემოს დაცვას და კლიმატის ცვლილების შერბილებას.
- **სოციალური და გენდერული თანასწორობა:** გენდერული პერსპექტივების ინტეგრაცია და საზოგადოების ჩართულობაზე აქცენტი სახელმძღვანელოს ძირითადი კომპონენტებია. ყველა დაინტერესებული მხარის, განსაკუთრებით ქალების ჩართულობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილების მიღების პროცესში იწვევს ტყის მართვის უფრო ინკლუზიურ და სამართლიან შედეგებს.

### შემდგომი ნაბიჯები:

მუნიციპალური ტყის მართვის პრაქტიკის წარმატებით განხორციელება მოითხოვს მუდმივ ძალისხმევას და თანამშრომლობას სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის, მათ შორის სამთავრობო ორგანოებს, ადგილობრივ თემებსა და საერთაშორისო პარტნიორებს შორის. მუნიციპალიტეტებმა ინვესტიცია უნდა განახორციელონ შესაძლებლობების განვითარებასა და ტრენინგებში, რათა პერსონალი აღიჭურვოს საჭირო უნარებითა და ცოდნით. გარდა ამისა, საზოგადოების აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა და ადგილობრივი ცოდნის გამოყენება გაზრდის ტყის მართვის ინიციატივების ეფექტურობასა და მდგრადობას.



წინამდებარე სახელმძღვანელოს დასკვნები და რეკომენდაციები გათვალისწინებული უნდა იყოს ინფორმირებული პოლიტიკის შემუშავებისთვის, როგორც ადგილობრივ, ისე ეროვნულ დონეზე. პოლიტიკის შემქმნელებმა უნდა უზრუნველყონ, რომ საკანონმდებლო ბაზა მხარს უჭერდეს ტყის მდგრადი მართვის პრინციპებს და უზრუნველყოფდეს ადეკვატურ რესურსებს განხორციელებისთვის. გარდა ამისა, პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს გენდერულ თანასწორობას და ტყის მართვის დაგეგმვასა და განხორციელებაში სხვადასხვა პერსპექტივების ჩართვას.

მუნიციპალური ტყის მენეჯმენტში ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის სახელმძღვანელო წარმოადგენს ღირებულ ინსტრუმენტს საქართველოში ტყის მართვის პრაქტიკის მდგრადობისა და ეფექტურობის გასაძლიერებლად. ამ სახელმძღვანელოს გამოყენებით, მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ მიიღონ კარგად ინფორმირებული გადაწყვეტილებები, რომლებიც დააბალანსებს ეკონომიკურ ზრდას გარემოს დაცვასთან და სოციალურ კეთილდღეობასთან მიმართებით.

## 6. გამოყენებული ლიტერატურა

- Agarwal, B. (2009). Gender and Forest Conservation: The Impact of Women's Participation in Community Forest Governance. *Ecological Economics*, 68(11), 2785-2799.
- Boardman, A., Greenberg, D., Vining, A., & Weimer, D. (2018). *Cost-Benefit Analysis: Concepts and Practice*. Cambridge University Press.
- Brännlund, R., Carlén, O., Lundgren, T., & Marklund, P.-O. (2012). The Costs and Benefits of Intensive Forest Management. *Journal of Benefit-Cost Analysis*.
- Forest Management: Planning, Decision Making and Implementation*. (n.d.). Retrieved from open access publishing, MDPI: [https://www.mdpi.com/journal/forests/special\\_issues/BOJFJ7Q4UX](https://www.mdpi.com/journal/forests/special_issues/BOJFJ7Q4UX)
- Forest Stewardship Council. (2023). *Forest Management: Practical tools for thriving forests*. Retrieved from <https://fsc.org/en/forest-management>
- Girolami, E. (2019). *Environmental Impacts of Sustainable Forest Management*. Master Thesis - FNP80436; Wageningen University & Research.
- Hanley, N., Shogren, F. J., & White, B. (2007). Environmental Economics: In Theory and Practice.
- Lasco, R., & Pulhin, J. (2006). Environmental impacts of community-based forest management in the Philippines. *Int. J. Environment and Sustainable Development*, 5(1), 46–56.
- Miteva, D. A., Loucks, C. J., & Pattanayak, S. K. (2015). Social and Environmental Impacts of Forest Management Certification in Indonesia. doi:<https://journals.plos.org/plosone/article?id=10.1371/journal.pone.0129675>
- Pearce, D. W., Atkinson, G., & Mourato, S. (2006). *Cost-Benefit Analysis and the Environment: Recent Developments*. OECD Publishing.
- Tietenberg, T., & Lewis, L. (2016). *Environmental and Natural Resource Economics*. Routledge.
- UN. (2019). *Community forest management and its contribution to ODS in Colombia*. Retrieved from United Nations Department of Economic and Social Affairs: <https://sdgs.un.org/partnerships/community-forest-management-and-its-contribution-ods-colombia>
- საკონსულტაციო კომპანია DEPA Consulting. (2024). *გენდერული მენისტრიმინგი ტყის მართვაში. საქართველოში ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების მხარდაჭერა* - ECO.Georgia.
- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო. (2019, დეკემბერი 13). *საქართველოს ეროვნული სატყეო*. Retrieved from სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო: <https://forestry.gov.ge/Ge/Projects/Details/19?menuId=31>
- ქავთარიშვილი, მ. (2023). *ტყის მართვის შესაძლებლობების ანალიზი 8 სამიზმე მუნიციპალიტეტის მიხედვით*. ორგანიზაცია GEO.

## 7. დანართები

დანართი 1: „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე;

დანართი 4,5,6,7,8,9

„ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე



N221

დადგენილება\_ტყე

დანართი 2: ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ

მოწოდებული ფასები



2024 წ.

სამხარაულის ფასე

დანართი 3: ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის მოდელი



- CBA MFM  
Template.xlsx





GREEN  
CLIMATE  
FUND



Schweizerische Eidgenossenschaft  
Confédération suisse  
Confederazione Svizzera  
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development  
and Cooperation SDC

# ECO.GEORGIA

Enabling the implementation of  
Georgia's Forest Sector Reform - **ECO.Georgia**

Ministry of Environmental Protection  
and Agriculture

32 d, Marshal Gelovani ave.  
0159  
Tbilisi,  
Georgia

Implemented by



Deutsche Gesellschaft  
für Internationale  
Zusammenarbeit (GIZ) GmbH



LEPL NATIONAL  
FORESTRY AGENCY



Rural  
Development  
Agency



LEPL ENVIRONMENTAL  
INFORMATION AND  
EDUCATION CENTRE